აპაპი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აპაპი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი ● №5-6 (№196-197) ● მაისი-ივნისი 2018 წელი

სტუდენტთა (ბაკალავრთა და მაგისტრანტთა) XXVIII სამეცნიერო კონფერენცია *გვ.3-4*

ქრისტინე ფალავა - ,,ერთი უჩვეულო ოჯახი" *გვ.5*

დიდგორი, ჩვენი უნივერსიტეტი და უნივერსიტეტელები *გვ.8*

ქართული კულტურის ცენტრი თურქეთში *გვ.11-12*

***

2 მაისს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, „ევროპის დღეები 2018-ის" ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე თამარ ხულორდავა, ამავე კომიტეტის წევრი გიორგი კანდელაკი, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი გენადი მარგველაშვილი, ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში არად ბენკო, ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ჯოს დოუმი აწსუ რექტორს გიორგი ღავთაძეს, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შეხვდნენ. შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს საგარეო პრიორიტეტები, საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესი, საქართველოს ევროპული პერსპექტივები. შეხვედრის დასასრულს გაიმართა დისკუსია.

***

მიმდინარე წლის 7 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში *www.HR.ge*-ის წარმომადგენლები შეხვდნენ სტუდენტებს, რომლებიც ორგანიზებას უწევენ ინოვაციურ პროექტს "ონლაინ დასაქმების ფორუმი + ღონისძიება 2018" ბათუმში. აღნიშნული ღონისძიება აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს მთლიანი ღონისძიების მანძილზე საბოლოო ღონისძიების ჩატარებამდე, ონლაინ რეჟიმში მიიღონ მონაწილეობა დასაქმების ფორუმში

***

აწსუ მედიცინის ფაკულტეტის ეზოში მრავალფეროვანი ინტერნაციონალური საღამო მოეწყო...უცხოელმა და ქართველმა სტუდენტებმა წარმოადგინეს ეროვნული მუსიკალური ხელოვნების ნიმუშები, ცეცხლოვანი და ფერადი ცეკვები, საკუთარი ქვეყნის ტრადიციები, ეროვნული სამხარეულო...

აწსუ მედიცინის ფაკულტეტზე 2012 წლიდან თითოეული სასწავლო წელი ინტერნაციონალური დღესასწაულია, აქ ახალგაზრდები ნიგერიიდან, ერაყიდან, ლიბანიდან და ინდოეთიდან ქართველ სტუდენტებთან ერთად ეუფლებიან უმაღლეს სამედიცინო განათლებას, ისინი აქტიურად გეგმავენ და ახორციელებენ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებს, ფაკულტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას კურიკულუმის გარეთა ღონისძიებებში და მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.

***

განსხვავებულად წარიმართა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთა მორიგი, მე-7, რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. კლინიკური და თეორიული მედიცინის ქართული და ინგლისურენოვანი, ასევე ფარმაციის სესიების პარალელურად მუშაობდა ორი „ვორკშოპი"კლინიკურ უნარებში: გულ-ფილტვის რეანიმაცია და ტრაქეოსტომია (კოორდინატორები: ჯილდა ჭეიშვილი, ლელა არახამია, ლევან დათიაშვილი), ინგლისურენოვანი „PBL-სესია"(ტუტორი: ლალი ჩხიკვაძე).

მასპინძელი უნივერსიტეტის მსგავსად აქტიურობდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტის BAU და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტების სტუდენტები.

ჟიურის შემადგენლობაში აწსუ აკადემიურ პერსონალთან ერთად მუშაობდნენ კლინიცისტები: ნანა ძიძიგური, თამარ ჯანელიძე, მიხეილ შავგულიძე, რომელთაც ცოცხალი დიკუსიის რეჟიმში წარმართეს მომხსენებელთა გამოსვლები. კონფერენციის სესიებს ესწრებოდნენ საჯარო სკოლების მოსწავლეები.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ აწსუ რექტორი პროფესორი გიორგი ღავთაძე, მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო სექციის ხელმძღვანელი თამარ ვალიშვილი. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა ირინე ფხაკაძემ, მესიჯით: „თქვენი წარმატება იწყება დღეს!"...

***

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ამბროლაურში გამართულ, საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა მრავალფეროვანმა ინტერაქტიულმა პროგრამამ დიდი მოწონება დაიმსახურა, როგორც დამთვალიერებლების, ასევე ორგანიზატორების მხრიდან.

***

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გააფორმა *ERASMUS+*-ის ხელშეკრულება ჰაინრიხ ჰაინის სახელობის დიუსელდორფის უნივერსიტეტთან (გერმანია), რაც საშუალებას აძლევს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს, აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალს, მონაწილეობა მიიღოს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ *ERASMUS+*-ის გაცვლით პროგრამებში და მოიპოვოს სტიპენდია პარტნიორ უნივერსიტეტში

სტუდენტთა (ბაკალავრთა და მაგისტრანტთა) XXVIII სამეცნიერო კონფერენცია



17-18 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ყოველწლიური სტუდენტთა (ბაკალავრიატთა და მაგისტრანტთა) XXVIII სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორი იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზაციის სექტორი. აღნიშნული სამეცნიერო კონფერენცია დაფინანსდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ და მიეძღვნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დააარსების 85-ე წლისთავის იუბილეს.

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია მუშაობდა სამი დღის განმავლობაში, სულ კონფერენციის მსვლელობაში ჩართული იყო 45 სექცია, სადაც სამეცნიერო მოხსენება 805 სტუდენტმა წარმოადგინა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს სტუდენტთა (ბაკალავრიატთა და მაგისტრანტთა) სამეცნიერო კონფერენციას. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული და აგრარული ფაკულტეტის ორმა სტუდენტმა და ქ. თბილისის შავი ზღვის უნივერსიტეტის 16 სტუდენტმა, რომლებსაც უმასპინძლა ჩვენი უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტმა (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნინო ნიჟარაძე და სტუდენტთა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ეკატერინე არჩვაძე). რა თქმა უნდა, ჩვენი სტუდენტური კონფერენცია შიდა საუნივერსიტეტოა, მაგრამ ინფორმაცია, რომელიც იდება უნივერსიტეტის ვებ.გვერდზე ხელმისაწვდომი ხდება სხვა უნივერსიტეტებისათვისაც. ჩვენ, როგორც სტუმართმოყვარე ქალაქის უნივერსიტეტი, რადგან წლებია გამოცდილება გვაქვს ბათუმისა და, თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტების მიღებისა და გამასპინძლებისა, წელსაც გვესტუმრნენ. შავი ზღვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პროფესორი ნიკა ფარჯანაძე და მათი უნივერსიტეტის სტუდენტები გაეცვნენ ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიას, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ისტორიას, ახალ საბიბლიოთეკო შენობას, მონაწილეობა მიიღეს ინგლისური ფილოლოგიის სექციურ მუშაობაში, სადაც გაიმართა აზრთა გაზიარება, შედგა ორ უნივერსიტეტს შორის მჭირდო კავშირი და ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებიც მიიწვიენ სამეცნიერო ფორუმზე.

პლენარული სხდომა გახსნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა პროფესორმა გიორგი ჩირაძემ. პროფესორმა იმერი ბასილაძემ სტუდენტებს მიულოცა სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობა და თავისი გამოცდილებით შეახსენა მათ, თუ რა მნიშვნელოვანია სტუდენტისთვის სამეცნიერო მუშაობა, სამეცნიერო სფეროში მათი ჩართულობა და ამ მხრივ, სტუდენტებისგან იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც სამომავლოდ გამოადგებათ პრაქტიკულ ცხოვრებაში.

მისალმებების შემდეგ, ამაღლების ბრწყინვალე დღე მიულოცა პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, დამსწრე-საზოგადოებას და სექციური მუშაობისაკენ გზა დაულოცა პროგრამაში მითითებულ აუდიტორიებში, სამეცნიერო ცენტრის სტუდენტთა (ბაკალავრიატთა და მაგისტრანტთა) სამეცნიერო კონფერენციების სექტორის სპეციალისტმა, ასისტენტ-პროფესორმა რამაზ ხაჭაპურიძემ.

სტუდენტთა და მაგისტრანტთა XXVIII სამეცნიერო კონფერენციაზე ქართული ენის მიმართულებით პროგრამით გათვალისწინებული იყო 17 მოხსენება. წაიკითხეს 14 მოხსენება. აწსუ ქართული ენისა და ლიტერატურის ძირითადი და დამატებითი (მინორ) სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ ისტორიისა და არქეოლოგიის სპეციალობის სტუდენტები, ასევე ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობის მაგისტრანტები. მონაწილეობდა ასევე ერთი სტუდენტი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ქართული ლიტერატურის სექციაში დარეგისტრირებული იყო 15 სტუდენტი. მოხსენება 14-მა წაიკითხა. ყველა მათგანი სიგელებით დაჯილდოვდა.

17-18 მაისს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს სტუდენტთა 28-ე საუნივერსიტეტო კონფერენციაში. სექციის მუშაობა მიმდინარეობდა ორი დღის განმავლობაში. კონფერენციაში მონაწილეობდა 21 (ოცდაერთი) სტუდენტი.

მონაწილეებმა წარმოადგინეს ძალზე საინტერესო და თემატურად მრავალფეროვანი მოხსენებები თანამედროვე ლინგვისტურ, ენის სწავლების მეთოდურ და ლიტერატურათმცოდნეობით საკითხებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარდა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისა, მიმდინარე წელს სტუდენტთა

სამეცნიერო კონფერენციაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებმა. ორი უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტებს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის 85—ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა შავი ზღვის უნივერსიტეტის 16 (თექვსმეტი) სტუდენტი, რომლებიც ძალზე საინტერესო, აქტუალურ და მრავალფეროვან თემატიკაზე შექმნილი მოხსენებებით წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე. სტუდენტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ამავე უნივერსიტეტის სრული პროფესორი ნიკოლოზ ფარჯანაძე, რომელიც შავი ზღვის უნივერსიტეტში განათლებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მიმართულების ხელმძღვანელია. ვფიქრობთ, შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობამ განსაკუთრებული ელფერი შესძინა სტუდენტურ კონფერენციას და საფუძველი ჩაუყარა მომავალ ურთიერთთანამშრომლობას. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ბატონ ლუკა დვალიშვილის მხარდაჭერით ჩვენს სტუმრებს გადაეცათ უნივერსიტეტის ინოვაციების ლაბორატორიაში დამზადებული სამახსოვრო საჩუქრები და კონფერენციაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წლის აპრილის თვეში შავი ზღვის საერთაშორისო უნივრსიტეტში გამართულ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის ბაკალავრიატის მე-4 კურსის სტუდენტებმა: მარიამ ჩიხლაძემ, ნინო ხობუამ, რუსუდან მსხვილიძემ და საპრიზო პირველი ადგილიც დაიმსახურეს.

კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებმა მოხსენებების წარდგენისას გამოიყენეს თანამედროვე ტექნოლოგიები; აღსანიშნავია ისიც, რომ მუშაობა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, რამაც კონფერენციის მსვლელობა კიდევ უფრო საინტერესო გახადა. სტუდენტურ კონფერენციაზე წარმატებული სიგელი ინგლისური ფილოლოგიის 9 სტუდენტმა დაიმსახურა.

გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტს (დეპარტამენტის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი რამაზ სვანიძე) მაისის თვე ძალიან დატვირთული აქვთ, მაგრამ საინტერესო და მოშზადებული მოხსენებებით 11 სტუდენტი ჩართული იყო სექციის მუშაობაში.

17-18 მაისს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სტუდენტთა და მაგისტრანტთა XXVIII სამეცნიერო კონფერენციაზე (დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი სულხან კუპრაშვილი, სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ოთარ ნიკოლეიშვილი) ისტორია-არქეოლოგიის სექციის საქართველოს ისტორიის მიმართულებაში გათვალისწინებული იყო ოცდაშვიდი მოხსენების წაკითხვა. რეალურად წარმოდგენილ იქნა - ოცდახუთი. ვინაიდან წარმოდგენილი ნაშრომები თემატიკის მიხედვით მრავალფეროვანი, შინაარსის მიხედვით კი ფრიად საინტერესო და აკადემიური გახლდათ, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, უნივერსიტეტის სიგელით დაჯილდოებულიყო ოდახუთივე სტუდენტი.

სტუდენტთა XXVIII სამეცნიერო კონფერენციის არქეოლოგიის სექციის სხდომამ მეტად საინტერესო დებატებში ჩაიარა (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მერაბ ჭუმბურიძე). სხდომას ესწრებოდნენ არქეოლოგიის და ისტორიის საბაკალავრო, კულტუროლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის დამატებითი პროგრამების სტუდენტები, ასევე დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის არქეოლოგიის ფონდის თანამშრომლები. დაგეგმილი 11 მოხსენებიდან სხდომაზე მოისმინეს 9 მოხსენება: არქეოლოგიაში 4, კულტურის ისტორიაში 4, ხელოვნების ისტორიაში 1.

დასასრული გვ. 4

სტუდენტთა (ბაკალავრთა და მაგისტრანტთა) XXVIII სამეცნიერო კონფერენცია

დასაწყისი გვ. 3

სექციის მუშაობა ნაყოფიერად წარიმართა. წარმოდგენილი მოხსენებები გამოირჩეოდა საინტერესო თემატიკითა და მაღალი სამეცნიერო დონით. ზოგიერთ მოხსენებას თან ახლდა მრავალფეროვანი ვიზუალური მასალა. დასმულ შეკითხვებზე მოხსენებათა ავტორებმა არგუმენტირებული პასუხები გასცეს. ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა საინტერესო მსჯელობა. ის სტუდენტები, რომლებმაც თავი ისახელეს წარმოდგენილი მოხსენებებით, დაჯილდოვნენ სიგელებით.

დისკუსიებით, ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა აქტიური მსჯელობებით წარიმართა მსოფლიო ისტორიის სექციის მუშაობა (სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ინგა აბრამიძე). 12 მომხსენებლიდან 7 სტუდენტმა საუკეთესო სიგელის ტიტული მოიპოვა.

17-18 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ფარგლებში ჩატარდა სექციური მუშაობა კლასიკური და ფრანგული ფილოლოგიის მიმართულებით. სულ წაკიკითხეს 23 მოხსენება (11 - კლასიკური ფილოლოგიის მიმართულებით, 12 - ფრანგული ფილოლოგიის მიმართულებით). სტუდენტებმა წაიკითხეს ძალიან საინტერესო მოხსენებები აქტუალურ სამეცნიერო თემებზე. გაიმართა დისკუსია. კონფერენცია დასრულდა ალაფურშეტით, რომელიც კონფერენციაში მონაწილეთთათვის გააკეთეს კლასიკური ფილოლოგიის მიმართულების წევრებმა. საუკეთესო სტუდენტები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

17 მაისს გაიმართა აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (სექციის ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ლ. ქველიძე). არაბული, სპარსული, თურქული ენების მიმართულების სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები ენის, ლიტერატურის, ისტორიის, რელიგიისა სხვა დარგებიდან. სულ წიკითხეს 9 მოხსენება. მონაწილეობდნენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტები. წარმოდგენილი მოხსენებებიდან აღსანიშნავი იყო სამი სტუდენტი: ტოგონიძე შოთა, თურქული ფილოლოგია, IVკურსი, ბაკალავრიატი, ქურთების საკითხისათვის თანამედროვე თურქეთში, ხელმძღვანელი — ასისტენტ-პროფესორი ვახტანგ თევდორაძე. მიქაუტაძე მარიამი, არაბული ფილოლოგია, I კურსი, მაგისტრატურა, არაბული სოციოლინგვისტიკა: სასაუბრო არაბული (დონეები, გრადაციები), ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ზვიად ცხვედიანი. გუტიძე გურამი, სპარსულიფი ლოლოგია, III კურსი, ბაკალავრიატი, ქართველი მხატვრები სეფიანთა ირანში, ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ნათია სვინტრაძე.

ორგანიზებულად მიმდინარეობდა ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ბიზნესის აღმინისტრირების, ეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტების სექციების მუშაობა, რომლის ხელმძღვანელებმა ასოცირებულმა პროფესორმა გოდერძი შანიძე, ასოცირებულმა პროფესორმა იზოლდა გაბადაძე, ასოცირებულმა პროფესორმა ნონა ახვლედიანმა საინტერესო და აქტუალური საკითხები წამოწიეს სტუდენტებისათვის სამეცნიერო მუშაობისათვის, რომლებიც მაღალაკადემიურად მომზადებულები შეხვდნენ სტუდენტთა სამეცნიერო 28-ე კონფერენციას და თანვე ჩატარდა ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიზნესის აღმინისტრირების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული პირველი პრაქტიკული კონფერენცია: „ბიზნეს-გარემოს განვითარების რეგიონალური თავისებურებები". აღნიშნულ კონფერენციაზე მოხსენებით წარსდგა 60 სტუდენტი, საუკეთესო მომხსენებლის სიგელი დაიმსახურა 9 სტუდენტმა, ხოლო დანარჩენს კონფერენციაში აქტიური მონაწილეობისათვის გადაეცა სერტიფიკატები.

17 მაისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნესის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტში ჩატარდა XXVIII სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (ბაკალავრიატი და მაგისტრატურა). სექციის მუშაობა წარიმართა იმიტირებულ სასამართლო დარბაზში. სხდომას ხელმძღვანელობდა სამართლის დოქტორი ქეთევან კუხიანიძე. სხდომის თავმჯდომარე კი გახლდათ საღომე კუბლაშვილი სამართლის III კურსის ბაკალავრიატის სტუდენტი. საერთაშორისო კონფერენციაში დარეგისტრირებული იყო 21 მონაწილე. მონაწილეობა მიიღო 18-მა გუნდმა (ინდივიდმა). კონფერენციაში გამომსვლელმა მომხსენებლებმა წარმოადგინეს საინტერესო თემები. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თითოეულ მონაწილეს გადაეცეს სიგელი მიღწეული წარმატებისათვის.

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (დეკანი დავით ლეკვეიშვილი) მათემათიკის, (დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი გიორგი ონიანი; სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი თენგიზ ბოკელავაძე), ფიზიკის, (ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი გოგისა ტომარაძე), ქიმიის, (ხელმძღვანელი მასწავლებელი მადონა კუხალეიშვილი), კომპიუტერული ტექნოლოგიების მეცნიერებების (ხელმძღვანელი პროფესორი აკაკი გირგვლიანი), სექციები. კონფერენციაზე სტუდენტები მაღალაკადემიური მოხსენებებითა წარსდგა, რაც აისახა დისკუსიებში და აქტიურ პოლემიკაში. აღსანიშნავია ბიოლოგიის სექციის მუშაობა, რომელიც საინტერესოდ წარიმართა (სექციის ხელმძღვანელი ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი ნათელა ღვინიანიძე) აღნიშნული სექციის მუშაობაში მონაწილეობდა 14 სტუდენტი, მათ შორის აქტიურად იყვნენ ჩართულები ვაჟი სტუდენტები. მუშაობამ ნაყოფიერად ჩაირა და ცხრა მომხსენებელმა წარმატებული მოხსენებისათვის სიგელები დაიმსახურა.

პედაგოგიური ფაკულტეტი (დეკანი, ასოცირებული პროფესორი ვლადიმერ ადეიშვილი) ეს ის ფაკულტეტია, სადაც ფილოლოგიური საგნები, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო საგნები, ეთნოლოგია, შრომა, მუსიკა, მხატვრობა ერთად თავს იყრის და ახალგაზრდა სტუდენტებს ახიარებს იმ სპეციალობასთან, რასაც დაწყებითი განათლება და მეთოდიკა ჰქვია. სწორედ აქ, აღნიშნულ ფაკულტეტზე, საინტერესო დისკუსიებით, ტექნიკური საშუალებებით, სტუდენტთა და ლექტორ მასწავლებელთა აქტიური ჩართულობით წარიმართა მუშაობა პედაგოგიკის (პედაგოგიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მაია ახვლედიანი; სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნინო ორჯონიკიძე), ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკის, (სექციის ხელმძღვანელი პროფესორი ლეილა აბზიანიძე) და მათემათიკის მეთოდიკის (სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მანანა დეისაძე) სექციების მუშაობა.

საუნივერსიტეტო სიგელებით დაჯილდოებისათვის სამეცნიერო ცენტრის წინაშე დეპარტამენტი რეკომენდაცია გაუწია 20 სტუდენტს.

17 მაისს გაიმართა პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო კონფერენციის პედაგოგიკის სექციის მუშაობა (სექციის ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ნინო ორჯონიკიძე). კონფერენციაზე წაიკითხეს პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოხსენება. გარდა სტუდენტებისა, კონფერენციას ესწრებოდნენ მათი ხელმძღვანელები, პედაგოგიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი მაია ახვლედიანი, ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მამული ბუჭუხიშვილი. თემები მაღალი ხარისხით იყო მომზადებული, ავტორებმაც კომპეტენტურად წარმოადგინეს. კონფერენციამ საინტერესოდ და ნაყოფიერად ჩაიარა. წარმოდგენილ მოხსენებათაგან შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე. საუნივერსიტეტო სიგელებით დაჯილდოებისათვის დეპარტამენტმა სამეცნიერო ცენტრის წინაშე 12 სტუდენტს გაუწია სიგელით დაჯილდოების რეკომენდაცია.

17-18 მაისს საინჟინრო-ტექნოლოგიურ (დეკანი პროფესორი მაია გრძელიძე) და საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტებზე (დეკანი პროფესორი ფრიდონ გოგიაშვილი) ჩატარდა სტუდენტთა და მაგისტრანტთა XXVIII კონფერენცია. კონფერენცია აღნიშნულ ფაკუტეტებზე ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, კონფერენცია ჩატარდა საინტერესოდ, თანამედროვე სადემონსტრაციო საშუალებების გამოყენებით. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ყველა კურსის სტუდენტმა, რამაც განაპირობა წარმოდგენილი თემატიკის მრავალფეროვნება. საინჟინრო-ტექნოლოგიურ და საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტებზე წარმოდგენილი იყო სულ 100 მოხსენება. მომხსენებელთა შორის განსაკუთრებით საინტერესო ნამუშევრები წარმოადგინეს თითქმის ნახევარზე მეტმა, 40 სტუდენტმა, რომლებიც დაჯილდოვდნენ საუკეთესო მომხსენებლის სიგელებით.

17-18 მაისს გაიმართა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 28-ე და აგრარული ფაკულტეტის მე-60 სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი უნივერსიტეტის 85 წლის იუბილესადმი. თემატიკა შერჩეული იყო სამუშაო სექციების მიხედვით. ფაკულტეტზე მუშაობდა ექვსი სექცია: აგრონომიულ მეცნიერებათა, სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის, სუბტროპიკული კულტურების, ლანდშაფტური არქიტექტურის, აგროინჟინერიის, ტურიზმის. საკონფერენციოდ წარდგენილი იყო 101 მოხსენებლის თემა. 17 მაისს ფაკულტეტზე საზეიმოდ გაიხსნა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ და მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ მაღალი რანგის სტუმრები: გიორგი კვესიტაძე - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი. ზურაბ ლომთათიძე - აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. როლანდ კოპალიანი - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ყველა მომხსენებელი გამოირჩეოდა მომზადების კარგი დონით, მაგრამ მიუხედავად ამისა, დარგობრივმა კომისიებმა მაინც გამოვვეს გამორჩეული მომხსენებლები - 40.

განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო, პროგრამაზე - სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ბაკალარიატისა და მაგისტრატურის სტუდენტების ჩართულობის ამაღლება, რომელშიც მონაწილეობდნენ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევრები, მათ თავიანთ მეცნიერულ კვლევებში აქტიურად ჰყავთ დაკავებული სტუდენტები და აძლევენ უფრო მეტ თეორიულ, თუ პრაქტიკულ გამოცდილებას. ამ მხრივ, თავისი ძალა და ენერგია არ დაიშურეს ქიმიის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა ნინო ხელაძემ, ტექნიკის აკადემიურმა დოქტორმა ვახტანგ რუხაძემ, ტექნიკის აკადემიურმა დოქტორმა იამაზე ქამუშაძემ და ინჟინერიის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა არჩილ გეგუჩაძემ, რომლებმაც აქტიურად ჩართეს სტუდენტები სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და სიგელებიც დაიმსახურეს.

17 და 18 მაისს, ორი დღის განმავლობაში, აქტიურად მუშაობდა 45 სექცია. კონფერენციის დამთავრების შემდეგ სექციის ხელმძღვანელებმა სამეცნიერო ცენტრს წარუდგინეს სტუდენტთა (ბაკალავრიატთა და მაგისტრანტთა) სიები. სულ 365 სტუდენტმა მიიღო სიგელი მიღწეული წარმატებისათვის.

ვფიქრობთ, რომ უკვე ჩვენს უნივერსიტეტში, ტრადიციების შენარჩუნებასთან ერთად, ბევრი რამ ახალიც იკიდებს ფეხს, რითაც თანამედროვე მოთხოვნები სასწავლო-მეთოდური თვალსაზრისით უფრო ფართო სპექტრით წარმოჩინდება და ჩვენი სტუდენტები ხმამაღლა იტყვიან პრაქტიკულ ცხოვრებაში თავიანთ სათქმელს, რომელიც დამყარებული იქნება უნივერსიტეტში მიღებულ აკადემიურ განათლებასა და უნარ-ჩვევებზე.

სტუდენტთა კონფერენციამ ორი დღის განმავლობაში საინტერესოდ და ნაყოფიერად ჩაიარა. დაისახა სამომავლო მუშაობის გზები და პერსპექტივები, რათა მეთოდურად და მაღალმეცნიერულად გაიმართოს მუშაობა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტთა შორის, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო აქტიურს გახდის სტუდენტთა (ბაკლავრიატთა და მაგისტრანტთა) სამეცნიერო აქტივობებს და შემოქმედებით საქმიანობას.

რამაზ ხაჭაპურიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი
ცენტრის, სტუდენტთა სამეცნიერო
ღონისძიებების ორგანიზაციის
სექტორის სპეციალისტი,
ისტორიის აკადემიური დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

ქრისტინე ფაღავა - ,,ერთი უჩვეულო ოჯახი"

უკვე საუკუნე შესრულდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან, რომელსაც თავისი, განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა აქვს იმით, რომ ისტორიის სვლა და სახეობა ცვალებადია, მაგრამ უფრო ცვალებადია ის, თუ როგორ იწერება ეს ისტორია.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ვახტანგ ამაღლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრისა და ჯონ დოს პასოსის საქართველოს ასოციაციის თანადგომით დაიწყო ლექციების ციკლი ,,საუბრები ემიგრაციაზე".

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ისტორიის პირველი თავფურცელი სწორედ ნოე ჟორდანიას შვილიშვილის, პარიზში ნოე ჟორდანიას ინსტიტუტის ვიცეპრეზიდენტის ქრისტინე ფაღავას წიგნის წარდგენით დაიწყო.

ავტორი თავის მოგონებათა წიგნში ,,ერთი უჩვეულო ოჯახი" ხაზგასმით აღნიშნავს: ,,საქართველოს დატოვებისას ქართველებმა სამშობლო თან წაიღეს და დედაჩემის მსგავსად, მთელი ცხოვრება ერთდროულად საქართველოშიც ცხოვრობდნენ და საფრანგეთშიც. რეალურ ქვეყანას, რომელმაც დედა შეიფარა და რომელიც მას უყვარდა, მისთვის მშობლიური და ჩემთვის მითური ქვეყანა დაემატა, რომელიც დედასა და მისი თანამემამულეების ძლიერი ნების წყალობით ისევ ცოცხლობდა ემიგრაციაში."

ქრისტინე ფაღავამ თავის წიგნში ჩვენთვის უცნობი რაკურსით წარმოადგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, როგორც ოჯახის მამა, სახელმწიფო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, ერუდირებული მწერალი და პოლიგლოტი.

ლექციათა ციკლს ,,საუბრები ემიგრაციაზე" ხელმძღვანელობს ქართული ემიგრაციის მეცნიერ-მკვლევარი, ფილოლოგიის დოქტორი მარიამ მარჯანიშვილი.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ღავთაძემ მადლობა გადაუხადა ქრისტინე ფაღავას სტუმრობისათვის და აღნიშნა, ,,რომ უნივერსიტეტში მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს და კიდევ უფრო ამაღლებს სტუდენტთა ზოგად-სამეცნიერო ცოდნას."

პროფესორ ვახტანგ ამაღლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრის ხელმძღვანელმა, ასოცირებულმა პროფესორმა ია იაშვილმა განაცხადა: ,,მნიშვნელოვანია სტუდენტები პირველი წყაროდან გაეცნონ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისტორიულ მოვლენებს, რომელიც მეტად ინფორმაციული და დასამახსოვრებელია."

ლექციათა ციკლის ,,საუბრები ემიგრაციაზე" ხელმძღვანელმა მარიამ მარჯანიშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ,,მიუხედავად საუკუნის გასვლისა, საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის დაარსებასა და მის უდიდეს მნიშვნელობაზე დღესდღეობით საზოგადოების გარკვეულ ნაწილში კიდევ ძველი სტერეოტიპი დომინირებს. არადა ქართველებს შეუძლიათ, თამამად იამაყონ იმ ეპოპეით, რომელმაც ისინი, პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, კულტურული, ქალთა თუ ზოგადად ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მოწინავე საზოგადოებად ჩამოაყალიბა.

ბუნებრივია, ამ პერიოდის საქართველოს დიდებული, იდუმალი ისტორიის ფაქტების, მოვლენებისა თუ ისტორიული პირების მიმართ საზოგადოება უფრო მეტად ინფორმირებული უნდა გახდეს, რასაც, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ლექციათა ციკლი.

იგი დღეს უკვე დაიწყო პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის თავფურცლით და გაგრძელდება ამ პროცესში მონაწილე ქართული საზოგადოების იმ ნაწილის მოგონებებით, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე დაკარგული თავისუფლების აღდგენისათვის უცხოეთის ცის ქვეშ დაასრულეს.

დღეს, მათი შთამომავლების მოგონებები ძალზე აქტუალური და სენსიტიური თემაა და ეს მოგონებათა ციკლი ამ საიუბილეო წლის ბოლომდე გასტანს."

ამ შეხვედრაზე თავიანთი შთაბეჭდილებები გამოთქვეს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცნობილმა მკვლევარმა, პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა, პროფესორმა ომარ ნიშნიანიძემ, პროფესორმა რუსუდან საღინაძემ, ჟურნალისტმა ქეთი ბერძენიშვილმა, ქუთაისის საზოგადოების სახელით მეგი არველაძემ.

აქვე პროფესორ ვახტანგ ამაღლობელის სახელობის ამერიკის შესწავლის ცენტრის საზაფხულო სკოლის ყოფილი სტუდენტების სახელით ზურაბ მზარეულიშვილმა მადლობა გადაუხადა წიგნის ავტორს ქრისტინე ფაღავას, რომლის საჯარო ლექცია, ჰქონდა ბედნიერება, გასულ წელს პირდაპირი ჩართვით მოესმინა, მაგრამ ამ შეხვედრამ კიდევ უფრო აამაღლა მათი ცნობიერება ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოღვაწეობაზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის უცხოეთში.

დასასრულ, ქრისტინე ფაღავამ მადლობა გადაუხადა სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და ქუთაისის ინტელიგენციას იმ სითბოსათვის, რომელიც მათ არამარტო წიგნის ავტორისადმი, არამედ, საერთოდ, ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთა ცხოვრება-მოღვაწეობის დაინტერესებისადმი გამოიჩინეს.

ქრისტინე ფაღავამ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა ახლახან ნოე ჟორდანიას ინსტიტუტისა და საქართველოს პრეზიდენტის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ქართულ ენაზე გამოცემული წიგნი ,,საქართველო ბოლშევიკური არმიის ბატონობის ქვეშ".

და, ბოლოს, ყოველ 26 მაისს, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია უცხოეთში ფართოდ აღნიშნავდა დამოუკიდებლობის დღეს და ასე ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს: ,,მომავალ ამ დროს, ჩვენს საყვარელ სამშობლოში, შეხვედრამდე". სურვილის აღსრულებას, მართალია, ისინი ვერ მოესწრნენ, მაგრამ დრომ იმუშავა სამართლიანობის აღდგენისათვის და დღეს, მათი შთამომავლებისათვის, ეს ლოცვა რეალობად იქცა.

თამარ გუმბერიძე

გვეჯაშნიჯა "ჯაშნიჯი"

კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის შუამდგომლობით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დაფინანსებით გამოვიდა ლიტერატურული კრებული "ჯაშნიკი", რომელშიც თავმოყრილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტის სიტყვაში გაცხადებული სულის საიდუმლო.

"ვისაც კი მივაწვდინეთ ხმა, არ დაგვზარებია და ალალად შემოგვთავაზა თავისი პირველი სტრიქონი, პირველი ლექსი, პირველი მოთხრობა, უკვე რომ დატყობიათ მათი ავტორების სწრაფვა — სულიერი აფორიაქება სიტყვაში ჩაასახლონ და მკითხველსაც მოუხმონ, მკითხველიც გაიხადონ თვიანთ გულშემატკივრად" — წერს კრებულის რედაქტორი გია ხოფერია ანოტაციაში.

წიგნში წარმოდგენილია, როგორც პოეტური, ასევე პროზაული ნაწარმოებები ლიკა თეგეტაშვილი, გორვანელი (ლევან გოგაბერაშვილი), ბექა ფოცხვერია, მიხეილ აბულაძე, დავით კინწურაშვილი, ანა ჯიქია, ანა შვანგირაძე, მარიამ კვანტალიანი, ნოდარ გერგანაშვილი, სპარტაკ გოქაძე, ლოლა დარსაძე, ლილე ბერაძე, ვახტანგ ფირცხალავა — ეს იმ ავტორთა ჩამონათვალია, რომლებმაც გადაწყვიტეს რწმენითა და სიმართლით "სიტყვას" ემსახურონ, მათი მისწრაფებების საფუძველი მუდამ და ყველგან სრულქმნის წყურვილია. შინაგანი სამყარო კი თავისუფლებას ეყრდნობა. ამიტომაცაა მათ მიერ ჩვენამდე მოღწეული სიტყვა ნათელი და კეთილშობილური. თითოეულ მათგანს ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს.

თამარ გუმბერიძე

***

სულ ერთი წუთით უნდა იგრძნო
რომ არ ხარ მიწის,
ის ერთი წუთიც საკმარია
ფრთები გაშალო,
მაშინ ყველაფერს
სულ სხვაგვარი სივრციდან უცქერ,
ამ დროს როგორი ფერადია
ირგვლივ სამყარო...

***

რა შუაშია აქ მატერია,
თანდათანობით უფრო ვრწმუნდები,
,,ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ",
განუყოფელი და ხელუხლები.
სულს არ სჭირდება ჩარჩო და ზღვარი,
ის ვერ მოირგებს როლს და ხასიათს,
და ელოდება სული ნაწილ სულს,
როგორც დღე ელის თავის განთიადს.
და როცა გაჰყო ერთიდან ორი
მას მერე ლოდინს არ უჩანს ბოლო,
თავის გაყოფილ ნაწილს დაეძებს
ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ.
რა შუაშია აქ მატერია
,,ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ",
და დაეძებენ ისინი ერთურთს
დასასრულისთვის ბოლოს და ბოლოს!

***

წუხელ დამესიზმრე, დედი,
ისე თბილი იყო განცდა,
ვიგრძენ მონატრება მძაფრი,
სული რეალობას გასცდა.
შენთვის უცვლელია წლები,
ისევ ისეთი ხარ თითქოს,
როგორ მომენატრე, დედი,
ფიქრი ისევ შენთან მიხმობს.
ახლა უფრო კარგად ვიცი,
ტვირთი რა სიმძიმის ზიდე,
როგორ გვიკაფავდი ბილიკს,
როგორ გვაცილებდი ხიდზე.
ახლაც მეხმარები, მშველი,
როცა მარტო ვარ და მიჭირს,
როცა სიხარული მათოვს,
როცა მიხარის თუ მილხინს.
შენი სახელივით წმინდა,
შენი სულისავით სათნო,
წლების ქარტეხილში დედი,
მხოლოდ შენ გიპოვე მარტო.
შენი სიშორე დედი,
სულში ნაიარევს აჩენს,
შენ შვილად რომ გავჩნდი ქვეყნად,
მადლობას შევწირავ გამჩენს.
მინდა დამესიზმრო ხშირად,
რომ არ მომერიოს სევდა,
რადგან, მესიზმრები როცა,
სიზმრად ცოცხალი ხარ დედა.

ნინო ბაკურაძე

ეკოლოგიურ მეცნიერებათა წევრ - კორესპონდენტის, პროფესორ ოთარ უკლებას გარდაცვალებიდან 20 წლისთავის გამო



20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი ოთარ ბახვას ძე უკლება — მართლაც, რომ ნიჭიერი და ღირსეული პიროვნული თვისებების მქონე მეცნიერი, მკვლევარი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 20 წელია მას შემდეგ, რაც ტკივილის და მიტოვების მწვავე განცდა ერთბაშად იგრძნო ოჯახმა, კათედრამ, კოლეგებმა, სტუდენტებმა და ნაცნობ-მეგობრებმა. ეს, გულის მოულოდნელი შეტევა იყო უკიდურესად რთული და მძიმე ცხოვრებაგამძვლილი გულის! ამიტომაც იყო, რომ მეცნიერის სიკვდილი დაუჯერებელი აღმოჩნდა როგორც მშობლიური უნივერსიტეტის, ისე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის.

ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ, მეორე დღესვე ადგილზე ჩამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის და გეოფიზიკის ინსტიტუტების, ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი მეცნიერები და სპეციალისტები — მისი მეგობრები და კოლეგები, ის ადამიანები, რომელთა გვერდითაც მან გაატარა ღირსეული სამეცნიერო მოღვაწეობის წლები, მაგრამ ვაი, რომ სამწუხაროდ ეულარაფერს შეცვლიდნენ!...

ოთარ ბახვას ძე უკლება დაიბადა 1924 წლის 28 თებერვალს, თერჯოლის რაიონის სოფელ ეწერში. „ჩვენი წინაპრები, როგორც ის აღნიშნავს თავის მოგონებებში, ოდითგან სასულიერო წრეს მიეკუთვნებოდნენ. ჩვენი განაყოფის ბევრი წარმომადგენელი მღვდელი ან მღვდელმთავარი (ბლაღოჩინი) ყოფილა, ამიტომ გვარი, სამრევლო შეკრებისას ეკლესიაში გამორჩეულ ადგილს იკავებდა და სახელმწიფო გადასახადებშიც შელავათი ჰქონდა".

1929 წლის აგვისტოდან დაიწყო ე.წ ავადსახსენებელი, მთლიანი კოლექტივიზაცია და ოთარ უკლებას მამის ოჯახი, როგორც „კულაკის და ხალხის მტრის", ბოლშევიკურმა მმართველობამ მიწასთან გაასწორა — ქონების კონფისკაცია გაუკეთა, ძირძველი სახლში კი — სკოლა გაუხსნა.

მიუხედავად რთული მორალური და სოციალური ყოფისა (ოთარს მამაც გადაუსახლეს), მან 1941წელს საშუალო სკოლა ოქროს medlით დაამთავრა და უმაღლესშიც უგამოცდოდ ჩააბარა, 1942 წლის იანვარში სამხედრო კომისარიატიდან უწყება მოუვიდა. ექვსი თვე, იგი სამხედრო-საოფიცრო სასწავლებელში სწავლობდა, ბატალიონმა ოთარი საუკეთესო მსროლელად დაასახელა, ბრძოლებში 1942 წლის მეორე ნახევრიდან ჩაება. 18 წლის ბიჭი მსროლელთა პოლკში ოცეულის უფროსი იყო. თავის მოგონებებში იგი იხსენებს — „მე ყოველ საბრძოლო დავალებას, როგორი სარისკო და სასიკვდილოც არ უნდა ყოფილიყო, უყოყმანოდ ვასრულებდი. ცხვორებიდან იმდენად გატანჯული ვიყავი, სიკვდილის სულაც არ მეშინოდა, ისეთ ტყვიის ცვიცხლში გავდიოდი, იქ გადარჩენა შეუძლებელი იყო, მაგრამ საკვირველი ისაა, რომ შელოცვილივით, სიკვდილი ახლოს არ მეკარებდა — თითქოს ჩემი ეშინოდა!

„ბელორუსიის ფრონტზე, ბრიანკსთან ახლოს ტანკსაწინააღმდეგო ოცეული ჩამბარეს — იხსენებს ოთარ უკლება. — აქ სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა ქალაქ კალინკოვიჩის ასაღებად. მე და ჩემმა ოცეულმა გარღვევაზე წამოსული 4 მეწინავე ტანკი და ორი ჯავშანტრანსორტიორი დავწვით. ჩემს ანგარიშზე იყო 1 ტანკი და 2 ჯავშანტრანსპორტიორი, რის გამოც მთავრობის ჯილდოზე წარმადგინეს. დამავიწყდა ეს სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით". კიდევ უფრო დიდი ჯილდო მან მდინარე ყუბანზე თავისი ოცეულით გადასვლის და გერმანელთა პლაცდარმის აღების დროს მიიღო -1943 წლის იანვარში. „ხა ოტვაგუ" — „მამაცობისათვის" — ასე უწოდებდნენ ამ medalს და იგი მებრძოლებს ფრონტზე ჩადენილი განსაკუთრებული საბრძოლო მამაცობისათვის ეძლეოდათ. ზემოაღნიშნული ბრძოლის ეპიზოდი შეტანილია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე (ს.ნ.გ) 90-იანი წლების ბოლოს გამოცემული სამამულო ომის შესახებ მოგონებების სრულ ორტომეულ წიგნში — „*Один день войны*". სამამულო ომიდან დემობილიზაციის შემდეგ ოთარ უკლებამ საბუთები პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გეოლოგიის ფაკულტეტზე გადაიტანა, ომში წარმატებული, სწავლაშიც წარმატებული გახდა, რის გამოც სტალინური სტიპენდია დაუნიშნეს. მალე სასწავლო წარმატების და ომში გაწეული ღვაწლის გამო, ოთარი ფაკულტეტის კომკავშირის მდივნადაც აირჩიეს, რაც თვითონაც გაუკვირდა და დიდად არც გახარებია, მაგრამ დაკისრებულ მოვალეობას პასუხისმგებლობით ასრულებდა. უნივერსიტეტის სამაგალითო სტუდენტს უკვე ყველა სათანადოდ აფასებდა და მისი დამთავრების შემდეგ, როგორც სტალინური სტიპენდიანტი — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგიზიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად დატოვეს, აკადემიაში მუშაობის პერიოდში, იგი პარალელურად ხელმძღვანელობდა ბორქომის და ფოთის სეისმოლოგიურ სამსახურს.

რამდენიმე წელიწადში ოთარმა თბილისის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბრწყინვალედ დაიცვა სამეცნიერო ხარისხი. მშობლიური უმაღლესი სასწავლებლის პროფესორებმა კიდევ ერთხელ გაიხარეს ყოფილი, წარჩინებული სტუნდეტის ნიჭით და წარმატებებით.

შემდეგ იყო 32 წლიანი სახელოვანი მოღვაწეობა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ასისტენტად, უფროს მასწავლებლად, კათედრის დოცენტად, ფაკულტეტის დეკანად, გეოგრაფიის კათედრის გამგედ. ოთარ უკლება ათწლეულის მანძილზე ღირსეულად უძღვეოდა საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის მისაღებ გამოცდებს, როგორც თავმჯდომარე. იგი იყო სტუდენტების უსაყვარლესი, გამორჩეული დეკანი, ხოლო შემდეგ — გეოგრაფიის კათედრის იდეალური ხელმძღვანელი.

ცალკე თემაა ოთარ უკლებას მეცნიერული მოღვაწეობა. მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა ორმოცდაათზე მეტ შრომას მოიცავს, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართული და რუსულ ენებზე, განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისთვის 1974-85 წლები, როცა გეოფიზიკის ინსტიტუტის თხოვნით, მან ტყიბულის სეისმოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელობა შეითავსა, ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა ორი ათეული შრომა, რომლებიც მიძღვნილი იყო ტყიბული-შაორის ქვანახშირის საბადოს საინჟინრო-გეოლოგიის აქტუალური საკითხების გადაწყვეტისადმი. მათ შორის, განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ადგილობრივი მიწისძვრების ეპიცენტრების რუკების შედგენას, საბადოს მიკროსეისმურ დარაიონებას, სეისმური დონის სიმკვრივის დადგენას, სამთო დარტყმებსა და ადგილობრივ მიწისძვრებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. სამთო-საინჟინრო მოქმედებების გავლენას ადგილობრივი მიწისძვრების სიხშირეზე, მიწისძვრების პროგნოზს და სხვა აქტუალურ საკითხებს. ზემოაღნიშნული თემების ირგვლივ, იგი ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის ქერქის შემსწავლელი განყოფილების სამეცნიერო სესიებზე და აკადემიის გაფართოებულ სხდომებზე, სადაც დიდ მოწონებას იმსახურებდა, ამიტომ იყო, რომ მისი სამეცნიერო შრომები შეუფერხებლად იბეჭდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში", გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომებში, გეოგრაფიული საზოგადოების შრომებში.

1985 წელს, მან ვალერიან ზუხბაიასთან ერთად დაასრულა და დასაბეჭდად გადასცა უმაღლესი სკოლის სტუდენტების და მასწავლებლებისაღთვის მეტად საჭირო სახელმძღვანელო „გეოლოგიის პრაქტიკის საფუძვლები", 15 ფორმის მოცულობით, რომელიც კლასიკური ჭრილებით და მარშრუტებითა გამდიდრებული და ამ მხრივ ორიგინალურ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა, 1986 წელს დაასრულა საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია „დასავლეთ საქართველოს სეისმოლოგიის საკითხები"

ოთარ უკლება ქუთაისის ჭეშმარიტი პატრიოტი იყო. მან არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და ნარკვევი მიუძღვნა ქუთაისის გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის დაცვა-აღდგენის საკითხებს.

1995 წელს იგი საქართველოს რესპუბლიკის ეკოლოგიური აკადემიის წევრ—კორესპონდენტად აირჩიეს. იგი იყო ასევე საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. 90-იანი წლების ბოლოს ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების (ს.ნ.გ) მიერ გამოცემული გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წიგნში, საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებაში გაწეული დამსახურებისათვის შეყვანილია როგორც ოთარ ბახვას ძე უკლება, ასევე დავით ბახვას ძე უკლება.

ოთარ უკლება აქტიური იყო საზოგადოებრივ საქმეშიც. წლების განმავლობაში, იგი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი იყო, ევალებოდა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებზე კონტროლი. ამ მიმართულებით მის მიერ მრავალი საკითხი იყო შესწავლილი და საბჭოს სხდომაზე გამოტანილი, რითაც თავისი წვლილი შეჰქონდა სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის სრულყოფის საქმეში.

„კრისტალური სისპეტაკე, ნიჭიერება, კვლევის სიღრმე, წერისა და მეტყველების ლაკონურობა, ფართო განსწავლულობა, ლექციის გადაცემის ვირტუოზულობა, კოლექტივისადმი სითბო და მზრუნველობა, უდანაშაულო ალალმართლობა, დახვეწილი ინტელიგენტურობა — აი, თქვენი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომელთა ერთობლიობა თქვენი სახელის უკვდავებაა". — ასე აღწერს მის პიროვნულ პორტრეტს მარადიულ გზაზე დაშვიდობების დროს ოთარ უკლებას მეგობარი, შემდგომში გეოგრაფიის კათედრის გამგე და პროფესორი ოთარ ჩხეიძე.

ქეთევან უკლება
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
medიცინის ფაკულტეტის ასოც. პროფესორი

***

„ყველა გონიერი კაცი — იგივე წიგნია" — ბრძანებდა დიდი ილია. ბატონი ოთარ უკლება გახლდათ საკუთარ პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარეული, თავისი საქმის უერთგულესი მსახური. მთელი ცხოვრების მანძილზე მის ადამიანობას, უზადო და რაფინირებულ დამოკიდებულებას მეგობრების, ადამიანების, სტუდენტი ახალგაზრდობის მიმართ, ლეიტმოტივად გასდევდა უდიდესი მოკრძალება, სიყვარული და პატივისცემა. დიდი სულისა და ძლიერი ზნეობის ადამიანებს სიცოცხლის ფესვები მშობლიურ მიწაში ღრმად აქვთ გადადგმული! მქონდა ბედნიერება ვყოფილიყავი მისი სტუდენტი. იგი, საოცრად მაღალი მოტივაციის მიმცემი შეფასებით, სტუდენტებს უყალიბებდა ცოდნაზე და ზნეობაზე ორიენტირებულ ღირებულებებს. უხაროდა მათი ნიჭის გამოვლენა. ალბათ, ბედნიერებაა ბატონი ოთარის შთამომავლობისათვის სიტყვები, როდესაც ამბობენ: პროფესორი ოთარ უკლება დააკლდა სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც საუკეთესო პროფესიონალი, ოჯახს — საუკეთესო მამა და მეუღლე, ქალაქს — მაღალზნეობრივი მოქალაქე. დატოვა დიდი სიყვარული და კეთილი საქმეები. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

ზია კუბეცია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი

***

ბატონ ოთარ უკლებას პიროვნებასთან ძალიან ლამაზი და შთამბეჭდავი მოგონებები მაკავშირებს: პირველი მისაღები გამოცდა სწორედ მას ჩავაბარე. მაშინ, ბატონი ოთარი გეოგრაფიის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, ჩემი პირველი მასპინძელი და კათედრის გამგე იყო. მალე დავმეგობრდით, უფრო სწორად ჯერ მისმა ლექციებმა დაგვამეგობრა. მინერალოგიით დაიწყო... სემესტრის ბოლოს კი სასწავლო კურსი 21 სტუდენტიდან 19-მა ფრიადით დავასრულეთ იმის გათვალისწინებით, რომ მას საკითხის საფუძვლიანად მოსმენა უყვარდა და დამატებითი შეკითხვების გარეშე არ წერდა მაღალ შეფასებას.

საგნის თავისი სპეციფიკა ჰქონდა, ძნელი იყო, რომ 21 გოგონას ისე შეგვეყვარებოდა ეს ერთი შეხედვით, „არაქალური" დისციპლინა, რომ ინტერესით გვესწავლა. არადა, მათლა მოგვწონა!... ბატონმა ოთარმა შეგვაყვარა გეოლოგია საკუთარი პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობით მომზადებული ლექციებით, საინტერესო საველე პრაქტიკებით და ჩვენ მიმართ პატივისცემაზე დაფუძნებული, ღირსეული დამოკიდებულებით. ჩვენი მეგობრობა შემდეგ კოლეგების ურთიერთობაში გადაიზარდა, რომელიც ისეთივე სასაამოვნო გასახსენებელია ჩემთვის, როგორც სტუდენტობისდროინდელი მოგონებები!

ია აშვილი
გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი
ა.წ.ს.უ. ამერიკის შესწავლის ცენტრის
დირექტორი

***

ადამიანები, ერთმანეთს თავს ყოველთვის რაღაცით ამახსოვრებენ. პირადად მე, არასდროს დამავიწყდება ის მამაშვილური შეხვედრა და ბატონი ოთარის სიხარული ჩემი კათედრაზე გამოჩენით, მაშინ როდესაც სრულიად ახალგაზრდა, მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომით სამსახურის საძებნელად მოვედი მაშინდელ პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ერთია ფლობდე სპეციალობას და სხვაა — თითქმის თანატოლ, ზოგჯერ კი ასაკით უფროს სტუდენტებთან ურთიერთობა. სწორედ ბატონი ოთარი მასწავლიდა მათთან კომუნიკაციას, რამაც დიდი როლი ითამაშა ჩემი არცთუ ცუდ ლექტორად ჩამოყალიბების საქმეში და რომელი საქმეც მე დღეს ასე მეამაყება.

თავისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ბატონ ოთარს განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა ახალგაზრდობასთან. იგი ერთნაირად უყვარდათ და პატივს სცემდნენ გეოგრაფიის, ბიოლოგიისა და ქიმიის სპეციალობის სტუდენტებს.

ბატონი ოთარი დიდ ყურადღებას უთმობდა გეოლოგიის მუზეუმს, იწერდა და თვითონაც მიემგზავრებოდა მოსკოვში მინერალების და ქანების ჩამოსატანად. პატრონობდა და უფრთხილდებოდა მუზეუმს, რომლის დამაარსებლები იყვნენ საქვეყნოდ ცნობილი გეოლოგები: ალექსანდრე ჯანელიძე, გიორგი ძოწენიძე.

ახალგაზრდები დიდი სიხარულით თანამშრომლობდნენ ინსტიტუტის ბაზაზე მის მიერ შექმნილ სეისმოლოგიურ სადგურში (თუმცა, მას თავის დროზე, ეს სადგური მწვანეყვავილას ტერიტორიაზე უნდოდა შეექმნა). ამუშავებდნენ სეისმოლოგიურ მასალებს და აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა რანგის კონფერენციებში.

ბატონი ოთარის აღზრდილები არიან არა მარტო გეოგრაფიის დეპარტამენტის, არამედ, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტის თანამშრომელთა დიდი ბირთვი.

ყველანი დღეს, კიდევ ერთხელ მოიგონებენ და პატივს მიაგებენ დამსახურებულ მეცნიერს და აღმზრდელს, საზოგადო მოღვაწეს ბატონ ოთარ უკლებას ხსოვნას.

დალი მიქაუტაძე
გეოგრაფიის დეპარტამენტის ასოც. პროფესორი

***

მინდა, გავიხსენო ადამიანი, რომელიც ჩემი სტუდენტობის წლების უძლიერესი შთაბეჭდილებაა. ფაქტობრივად ეს გახსენებაც არ არის, რადგან, პიროვნება რომელზეც ვწერ, ჩემი ყოველდღიური ცხოვრების თანამდევია. ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმის, სათქმელის და ქცევის შემდეგ ვფიქრობ — როგორ შეფასებდა იგი ყოველივე ამას, თავისი მოზომილი ღიმილით, გაწონასწორებული მზერით და აუღელვებელი ტონით.

ეს ოთარ უკლებაა!

ეკოლოგიურ მეცნიერებათა წევრ - კორესპონდენტის, პროფესორ ოთარ უკლებას გარდაცვალებიდან 20 წლისთავის გამო

ო.უკლება, თ. ცნობილაძე, ვ. ზუბაია

ის გახლდათ, იმ პერიოდის აეტოკრატული ყოფის სუპერდემოკრატიული აღმზრდელი. მიკვირს, დაკისრებულ ვალდებულებებთან ერთად, როგორ შეეძლო ყოფილიყო: კარგი მენეჯერი, საუკეთესო აღმზრდელი, არაჩვეულებრივი პროფესიონალი, ყველა სტუდენტის მესაიდუმლე და საყვარელი ლექტორი. ბედნიერი ვარ, რომ სწავლა მომიწია იმ პერიოდში, როცა ასეთი ადამიანი მოღვაწეობდა უნივერსიტეტში.

ვერიკო ოდიკაძე
ყოფილი სტუდენტი
საჯარო სკოლის *დირექტორი*

***

არ მეგულება სტუდენტი, რომელმაც მის ხელში გაირა და ის არ ჰყვარებოდა, უძვირფასესი პიროვნება — ოთარ უკლება!

მადლობა, ამ დიდებული ადამიანის გახსენებისათვის.

მანანა გოგრიჩიძე
ყოფილი სტუდენტი
საჯარო სკოლის დირექტორი

***

ბატონი ოთარ უკლება ჩემი დეკანი, ლექტორი და, რაც მთავარია, უფროსი მეგობარი იყო. არ ყოფილა დღე, რომ ის ჩვენ გვერდით არ მდგარიყო. მას არ გამოეპარებოდა თითოეული ჩვენგანის წარმატება თუ წარუმატებლობა, საოცარ სიყვარულის გამოხატავდა ყველა სტუდენტის მიმართ, ჩვენ სიხარულით ვივსებოდით მის დანახვაზე. ბატონ ოთარ უკლებას არასდეს დაივიწყებს ის თაობა, რომელმაც მისგან ადამიანური სითბო, სიყვარული და დიდი ცოდნა მიიღო.

ეთერ პაპავა
ყოფილი სტუდენტი

***

ჩვენი ლექტორი, დეკანი არაჩვეულებრივი პროფესიონალი — ოთარ უკლება! მინდა დიდი სიყვარულით და პატივისცემით გავიხსენო ადამიანი, რომელიც საოცარი სითბოთი და ერთგულებით გვევლებოდა თავს, ჩვენც დიდი პასუხისმგებლობით ვსწავლობდით მის საგანს. იდეალური პიროვნება და იდეალური გამომცდელი იყო.

გულანარა ჩიხლაძე
ყოფილი სტუდენტი

***

1974 წელია, ქუთაისი პედაგოგიურმა ინსტიტუტმა მორიგი ახალი სტუდენტური ნაკადი მიიღო. რაიონიდან ჩამოსულმა და ქუთაისელმა სტუდენტებმა შევალეთ უზარმაზარი აუდიტორიის კარი. შემოვიდა კაცი, გაბადრული სახით, ხუჭუჭთმიანი, დადებითი აურით, აუდიტორია გაისუსა, ვინ არის არ ვიცით, გაგვიღიმა და დღესაც ჩამესმის მისი ხავერდოვანი ხმის ტემბრით ნათქვამი — ბავშვებო, მე ვარ თქვენი დეკანი, დოცენტი ოთარ უკლება. პირი დავალეთ ჯერ არ ვიცით რა არის „დეკანი", მაგრამ კაცი გვესიმპატიურა, შემდეგ ძალიან შეგვიყვარდა, მერე დავმეგობრდით, მერე მისი სალექციო კურსი რომ გავიარეთ და აღვიქვით მისი გულწრფელი, მამობრივი ზრუნვა თითოეული ჩვენგანისადმი, მის მიმართ, სიყვარულით, რიდით და დიდი პატივისცემით განვიმსჭვალეთ. ასე ვიარეთ მთელი 5 წელი. დეკანი აღარ იყო, როტაციამ მოუწია, მაგრამ ჩვენთვის დეკანიც იყო და რექტორიც, სიყვარული გვასწავლა, სითბო, თანადგომა, გატანა და პასუხისმგებლობა. მაშინ, ძალიან ახალგაზრდა იყო. ახლა მისი სტუდენტები 60-64 წლისა ვართ, დღესავით გვახსოვს მისი ერუდიცია, ინტელექტი, პატიოსნება და ჩვენდამი უსაზღვრო სიყვარული და სანამ ვართ, სანამ პირში სული გვიდგას, არასდროს დაგვავიწყდება ოთარ მასწავლებელი!

ზურაბ ბაქრაძე
ყოფილი სტუდენტი
ქუთაისის მერიის თანამშრომელი

***

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სწავლების პროცესისადმი თანამედროვე მიდგომები სტუდენტზეა ორიენტირებული, ალბათ, ყველა შეძლებს იმ პედაგოგის გახსნებას, რომელიც ამას, ჯერ კიდევ მაშინ, დიდი ოსტატობით და ხალისით აკეთებდა. ეს პიროვნება გახლდათ ოთარ უკლება — ჩვენი ლექტორი გეოლოგიაში, ფაკულტეტის დეკანი! სრულიად უნიკალური, გამორჩეული ადამიანი, თავმდაბალი, თავისი საქმის ღრმა პროფესიონალი. ეხლაც ყურში ჩამესმის მისი ხავერდოვანი ხმის ტემბრი, საოცარი დამაჯერებლობით გადმოცემული და ახსნილი თეორიული თუ პრაქტიკული მასალა.

ვისურვებდი, რომ ასეთი კეთილშობილი და პროფესიონალიზმის ნიშნით გამორჩეული ადამიანები დღესაც ბევრი ჰყავდეს ქართული, განათლების სისტემას.

რუსუდან ნანავა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მასწავლებელი

***

მამის წიგნებიდან ერთი გამორჩეულად მიყვარს. უბრალო წიგნია, ლურჯი, გარეკანზე ფერადი მინერალების ილუსტრაციებით. თავფურცელზე მინაწერი აქვს: „ოთარ მასწავლებელს — ჩვენს იდეალს მისი სტუდენტებისაგან. 1986წელი".

რამდენი სიმართლეა ამ უბრალო, მაგრამ ზუსტ შეფასებაში — მასწავლებელი!!! სწავლა და პროფესიის დაუფლება, ხომ საჭირო და აუცილებელია, მაგრამ სად მივა ეს, იმის სწავლასთან, რაც ყველაზე ღირებულია ამქვეყნად, რისთვისაც იბადება და გეძლევა სიცოცხლე — იყო ადამიანი! მამა ამას ისე ასწავლიდა, თავისი პირადი ცხოვრების წესით: აზროვნებით, თავმდაბლობით, გამორჩეული ტაქტით, ისე ბუნებრივად აკეთებდა, რომ სრულიად ვერ გრძნობდი მის უპირატესობას შენზე. ერთნაირად ნიჭიერი შეეძლო ყოფილიყო:

მის პროფესიაში — შეუდარებელი, ძლიერი სპეციალისტი.

წიგნთან — კრიტიკა, შრომისმოყვარე მეცნიერი.

მიწასთან — მცოდნე, გამჭრიახი გლეხი.

აუდიტორიაში — საინტერესო, გამორჩეული ლექტორი.

კათედრაზე — სამართლიანი, გულისხმიერი ხელმძღვანელი

ქვეყნისთვის თავმდაბალი, პატიოსანი მოქალაქე.

შვილებისთვის — მზრუნველი, თბილი მეგობარი.

იქნებ ბევრიც იყო ეს, ერთი კაცისთვის და ალბათ ამისათვის მიიჩნიეს სტუდენტებმა იდეალად?!

ამდენი ხნის შემდეგ, როცა დროის გადასახედიდან ვუყურებ და ვიფასებ მის ცხოვრებას, მისთვის საოცრად ძნელს და ტკივილიანს, უსამართლოს: გადასახლებულ მამას, აწიოკებული ოჯახს, ბავშვობას გამუდმებით „მაენებლის შვილის" ძახილში ჩავლილს, სიყმაწვილეს — დაჭრილს-დაჩეხილს სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტებზე გატარებულს, მიკვირს, როგორ მოვიდა მისი ბავშვობიდან ასეთი სუფთა და მართალი, როგორ შეინარჩუნა ყველაზე მთავარი და ღირებული - ადამიანის მიმართ ნდობა და სიყვარული! როგორ მინდოდა ჩემს შვილებს (სხვის შვილებსაც) დიდხანს გაჰყოლოდათ ცხოვრებაში ასეთი მასწავლებელი, დღეს რომ ასე სჭირდება და აკლია ქვეყანას!

მაღონა უკლება
ექიმი-ლაბორანტი ოთარ უკლებას
ქალიშვილი

მასწავლებელი და უფროსი მეგობარი

უნივერსიტეტის ძირითადი ფუნქციაა ახალგაზრდების მეცნიერული ცოდნით შეიარაღება და მათ მიერ არჩეულ სპეციალობაში უნარ-ჩვევების გამომუშავება, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციაა ახალგაზრდების მორალურ-ესთეტიკურ თუ ეთიკურ ადამიანებად ჩამოყალიბება, რომელიც ისწავლება პედაგოგებისა და საზოგადოების მაგალითებით. ამ მიმართულებით ახალგაზრდობა ზოგისაგან სწავლობს მომავალში როგორი უნდა იყოს, ზოგისაგან კი, სწავლობს როგორი არ უნდა იყოს. ორივე შემთხვევაში, თუკი ახალგაზრდა კრიტიკის თვალით უყურებს ყველაფერ ამას, ნასწავლი გამოდის, რამეთუ „ვისაც სიბნელე არ უნახავს, მათნ სინათლის ფასი არ იცის".

ჩვენგან წასული ადამიანების გახსენებასა და მათ ღვაწლზე საუბრებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი თაობების აღზრდაში. რამეთუ წარსულის გარეშე არ არსებობს არც აწმყო და არც მომავალი. დღევანდელი აწმყო და ხვალინდელი მომავალი ხვალ თუ არა ზეგ წარსული იქნება, ასეთი ბუნების კანონი.

ადამიანი, რომელსაც ვიგონებთ, სწორედ იმ ადამიანთა რიგს ეკუთვნის, ვისგანც შეგვეძლო გვესწავლა, როგორები უნდა ვყოფილიყავით.

ბატონი ოთარ უკლება იყო ჩემი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი.

1966 წელს გარდაიცვალა ქუთაისის მაშინდელი პედაგოგიური ინსტიტუტის გეორაფიის კათედრის გამგე, ცნობილი გეოოლოგი დოც. იოსებ საღინაძე, რომელსაც უნივერსიტეტში მიჰყავდა გეოლოგიის კურსი, სამწუხაროდ, კათედრას არ აღმოაჩნდა მისი ჩამნაცვლებელი კადრი. არადა სასწავლო წლის დასაწყისი ახლოვდებოდა დიდი კონსულტაციების შემდეგ შეარჩიეს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი. გეოლოგი ვალერიან ზუხბაია, რომელიც დაეთანხმა მხოლოდ ერთი წლით გეოლოგიის სალექციო კურსის წაყვანას. სალექციო კურსს მოჰყვება პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები ასე რომ, პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩებოდა.

მაშინ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, პროფ. კონსტანტინე მეძველიასა და ვალერიან ირემაძის აქტიური ჩარევით, მოიწვიეს ბატონი ოთარ უკლება, ახალგაზრდა გეოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი. რომელსაც პედაგოგიური გამოცდილება არ ჰქონდა. იგი მუშაობდა ქალაქ ტყიბულში. ბატონი ოთარი დაინიშნა კათედრის უფროს მასწავლებლად. მე II კურსის სტუდენტი ვიყავი. სწორედ მეორე კურსზე ისწავლებოდა გეოლოგია.

ბატონი ოთარი, მიუხედავად პედაგოგიური გამოცდილების არქონისა, ბევრ სტაჟიან პედაგოგის სჯობდა, თავისი ღრმა მეცნიერული ცოდნით, თანამედროვე ხედვებით, პედაგოგიური მიდგომით და საქმისადმი სიყვარულით. ის გამოირჩეოდა ტაქტით, სტუდენტებისადმი კარგი დამოკიდებულებით და გეოლოგიის ღრმა ცოდნით. ის სანახევროდ გეოლოგიის კურსის ლექციებსაც გვიტარებდა, რამეთუ ბატონი ვალერიან ზუხბაია სოხუმიდან ჩამომსვლელი ლექტორი იყო და სტუდენტებს მასთან შეხვედრისა და კონტაქტების ნაკლები შესაძლებლობა გვქონდა. ბატონი ოთარი იყო სტუდენტების არა მარტო პედაგოგი, არამედ მეგობარი. იგი გვიკითხავდა სალექციო კურსს მთელი სამი სემესტრის მანძილზე. პირველ სემესტში გვეკითხებოდა კრისტალოგრაფია-მინერალოგიის კურსი და თვითონ თავისი ბუნებით ამართლებდა საგნის დასახელებას, თვითონ იყო კრისტალივით სუფთა და გამჭვირვალე ადამიანი.

მოსვლიდან მეორე წელსვე აირჩიეს გეოგრაფიის კათედრის დოცენტად, მალე - გეოგრაფიის კათედრის გამგედ და შემდეგ საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანად.

ჩვენ საბჭოთა პერიოდის სტუდენტები ვიყავით და სტუდენტისადმი მიმართვის ფორმა იყო „ბავშვებო", თუმცა ჯგუფში გვყავდა ბავშვებიანი ახალგაზრდებიც, ან „ამხანაგებო". ბატონმა ოთარმა, ჩვენს ცხოვერებაში პირველად, მოგვმართა „გეთაყვა". ეს გამოთქმა მეტად თბილი, მაგრამ ამასთან ერთად უცხო და მოულოდნელი იყო, ამიტომ, როდესაც რაიმეს გარკვევა გვინდოდა ახალგაზრდებს, ვამბობდით წავიდეთ და ვკითხოთ „გეთაყვა" მასწავლებელს.

მან გეოლოგიური მასალებით გაამდიდრა ბატონ ალექსანდრე საღინაძის მიერ შექმნილი გეოლოგიის მუზეუმი. უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნა სეისმოლოგიური ლაბორატორია. რომელიც აღრიცხავდა საქართველოს ტერიტორიაზე სეისმურ ბიძგებს და გეოლოგიური მონაცემების დამუშავებით ხდებოდა მოსალოდნელი მიწისძვრების ვარაუდი.

ბატონი ოთარის ყოფილი სტუდენტები, დღეს პროფესორები, შრომობენ საქართველოს მრავალ უმაღლეს სასწავლებელსა და სამეცნიერო დაწესებულებებში.

ბატონმა ოთარმა საშობლოს აღუზარდა ორი წარჩინებული ქართველი ქალი, რომლებიც მამის პროფესიას არ აგრძელებენ, მაგრამ აგრძელებენ მამის კეთილსინდისიერებას, სისპეტაკეს და ადამიანობას.

ემზარ გორდაძე
ასოცირებული პროფესორი

ე.გორდაძე ო.უკლებასა და თანაკურსელებთან ერთად

დიდგორი, ჩვენი უნივერსიტეტი და უნივერსიტეტელები (ვუძღვნი ბატონ გიორგი მჯედლიძეს)

ვერ დავიჟინებ, თუმცა მაინც დაბეჯითებით ვიტყვი, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სურვილი და ნატვრა ექნება იმისა, რომ უშუალოდ ნახოს იგრძნოს და განიცადოს საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ფურცლის, დიდგორის ველის სიდიადე. ოცნების თვალით ეძებოს და დაინახოს კიდეც დიდგორელი გმირების სტრატეგია-ტაქტიკის გენიალური შეხამება ადგილმდებარეობის მიკროკლიმატთან და მთაგორიანი ლანდშაფტის თავისებურებებთან. დიდგორი ყველამ უნდა ნახოს! ეგებ გაიღვიძოს, ხშირ შემთხვევაში „დედაბრის ნეიტრალიტეტზე" ორიენტირებულმა ქართულმა მებრძოლმა სულმა და გენმა! ეგებ ირწმუნოს, რომ ჩვენ იმ დიდი, დიდებული დიდგორელების შთამომავლობა ვართ მსოფლიოს საქრისტიანოს რომ ეჩირაღდნა და, თუ სულ „ძილი ძილის" ბანგიდან გამოვალთ, მაშინ ვეზიარებით იმ ბრძნულ ქართულ ხალხურ შეგონებას: „ვისაც მოუკლავს ის მოკლავს ირემსა მაღალ მთისასა." იქნებ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ჩვენსავით მრავალტანჯული ერის ისტორია ვიმაგალითოთ შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ასევე მრავალტანჯული ერის შვილებმა და, „მთლად დიდებს" თუ არა პატარებს მაინც წავუხდინოთ მკვლელობების, მოტაცება-გატაცების სურვილი. თუ არადა გამოჩნდება ახალი გურამიშვილი და გულამოსკვნით ამოიტირებს იმ მწარე რეალობას: „დადედლებული შიშისგან აღარ ვარგოდნენ მამალადაო." ზემოთ ნახსენები „ირმის მოკვლა" რაღა სახსენებელია, როცა საერთო შვილიშვილის დროშის ქვეშ შემმობილებულმა ქართველთა და ყივჩაყთა დაუმარცხებელმა რაზმებმა, ჯვაროსანთა სიმბოლური დახმარების ფონზე, მსოფლიოს დიდი ბრძოლების ისტორიაში დაუვიწყარი და საგულისხმო ფურცლები ჩაწერეს. როცა სამხრეთიდან მოსულ, მრავალ ბრძოლაში წარმატებით გაზულექებულ უთვალავ მტერს, სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს. ქართული მებრძოლი სულის, ქართული საჭურველისა და საბრძოლო ხელოვნების დიდება, ბევრი უცხოელი პირველხარისხივანი მემატიანე-ჟამთააღმწერელის კალმით მსოფლიოს ამცნეს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ისევე როგორც ბევრ ქართველს, მეც დიდი ხანია მინდოდა დიდგორის ნახვა. მაგრამ თითქმის ყოველთვის, ბოლო წუთებში, მიზეზთა გამო, ეს კარგი საქმე გადაიდებოდა. ბოლოს, 7 თუ 8 წლის უკან, ბატონმა გიორგი მჭედლიძემ უნივერსიტეტელების ერთი ჯგუფი შეგვაგულიანა-შეგვაკავშირა, ერთი მოზრდილი სამარშუტო ავტობუსის ხალხიც თვითონ შეარჩია, ძირითადად ისტორიკოსები და ფილოლოგები, ყველაფერი ძალიან ტაქტიანად და მიზანმიმართულად. ერთი სტუდენტი ისტორიკოსიც იყო ამ ჯგუფში. მთლიანობაში ათი საუკუნის წინ ქუთაისიდან გასული დავითის ნაკვალევს მიმდევარი უნივერსიტეტელები ერთმანეთის კარგად მცნობ-მოყვარულები შევიკრიბეთ. (ყოველ შემთხვევაში, ამდენი წლის მერეც, მე ასე ვფიქრობ. ლ. დ). ბატონმა გიორგიმ თავის ნასარდლევ დიდებულ საქმეს გვირგვინიც დაადგა: მშობლიური ბაღდადიდან წამოღებული, სიმპათიურ საღვინე ჭურჭლით, მაცდურად მომზირალი ცოლიკაურის ვაზის ცრემლები ისაგზლა. დღესაც და ყოველთვის სასიამოვნოდ გამახსენდება ზომიერი ხუმრობა და იუმორი, იმერულ მახვილ კაპასს ფრაზას მიდევნებული გულწრფელი ღიმილი და გულიანი სიცილი. საინტერესო ისტორიული და გეოგრაფიული წიაღსვლები. ყოფილი და ახლანდელი უნივერსიტეტელების სააუდიტორიო, საპოლიტიკო-სამეცნიერო-სამაგიდო, სააშიყო-სალაღობო და სანადირო ბატალიები. დავით ჯანელიძის ლექსებში ჩამუხტული, ჩაწნულ-ჩაორნამენტებული საუნივერსიტეტო და საქალაქო ცხოვრების მზეჩრდილიანი პასაჟები: „ქუთაისს ლექსით ვეჟღურტულები, აზრი რითმებით მომიქარგია, ქუთაისს მართავს ქურდული სული და ჯიბგირების ოლიგარქია." საოცარია როგორ გაბედა, თავის დროზე, კომუნისტების ეპოქაში, ამ დიდებულმა მეცნერმა და პიროვნებამ თავისი აზრის ასე მართლად და შეუფარავად თქმა!? მისი ავტორი იმ ეპოქაში და ამ ეპოქაშიც ხომ ყველამ იცოდა.

...ტაროსიც სასიამოვნოდ ზომიერი აგვემგზავრა. დიდგორისკენ მიმავალ მგზავრებში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ჩვენი სამშობლოს გზების უშეცდომოდ ცოდნაში ბუნებრივია ბევრმა დადო თავი და .... იქვე წააგო კიდეც... გზა შეგვეშალა. იშვიათი გამონაკლისი - ზოგი ჭირი მარგებელიაო! ასე მოხდა ახლაც. (ისე ჭირი ჭირია, მაგრამ, არცთუ იშვიათად, ლხინის მშობელ-საძიკველ-საოთავეც ლ.დ.)

ბევრი მიკითხ-მოკითხვისა თუ ალალბედზე მგზავრობის შემდეგ დიდგორის ველს მაპმადიანური სამყაროს ჯარების სიმრავლით გადიდგულებულ, აღბათ ინდაურივით გაფხორილ, აზიური წინწილა-ნაღარა ჰანგებით საქართველოს იავარსაქმნელად წამოსული, თავარახჩნიანი მთავარსარდლის ილღაზის გზით მოვადექით. თუმცა მანამდე იყო დაუსახლებელი ველები და ტყეთა საკმაოდ დიდი კორომები. საპირფარეშოს დასაჭიროვებულ ერთი ჩვენი ჭარმაგი და მოკრძალებული კოლეგის მიუვალი უღრანის ბოლოში ჩასვლა და მეორე კოლეგის დარიგება: უფრო ღრმად ჩასულიყო ხევში ხალხის თვალმოსაფარად, ან საპირფარეშო მოეძებნა სადმე. (ერთიც და მეორეც სანატრელი გახდომოდა სადიდგორო გზაზე მიმავალ მარქაფას ლ. დ). ყალბი დიდაქტიკაც პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო უხერხული პროცესის გამო შეჭირვებულმა ადრესატმა და... კინაღამ ძვირად დაუჯდა უდაბურების უფსკრულის ნაპირის მიახლოება. აქეთ შეწუხებულ-შეშინებული მძღოლი უპერერსპექტივო მომავლს წინასწარმეტყველებს: შეიძლება საწვავი გათავდეს და ამ ტყე-ღრეში მერე რა ვქნათო?! მოგზაურთა ერთი ნაწილი ჩვენ მესაჭეს „აიმედებ-ამუნათებს"- უსაწვავო ავტობუსი რად გინდა?! ნაწილებად დავშალოთ, ვინმე გამვლელზე გავყიდოთ და იმ ფულით ეგებ მეგზური დავიქირაოთო! ყალბი სენტენცია შეშინებული მძღოლის გაღიზიანებას იწვევს და მთელი სერიოზულობით ამბობს: „აგი მანქანა გერმანიიდან ჩამევიყვანე ძმაო! 2005 წლიანია, თუმცა პასპორტში 2004 წელი დოუწერეს, ბანკის ვალი ჯერაც არ მაქვს გადახდილიო!.. გაწიწმატებული მესაჭე ძლივს დავამშვიდეთ და დავარწმუნეთ რომ აქ შეკრებილი მგზავრებისგან მსგავსი რამ მოსალოდნელი არ იყო. „აბა, მთელი გზა ომზე, სისხლზე, ჯარების ამოჟუჟვაზე ლაპარაკობთ და მეც ქე შევშინდიო", - მორჩილად გაგვენდო მძღოლი.

ბოლოს და ბოლოს ნატრულ დიდგორის ველს ბორჯომიდან მომავალ, ცხენოსანი მწყემსის დარიგებით მივაგენით. დიდგორმა მსუბუქი განსაცდელით აჟრიამებული უნივერსიტეტელები კარგა ხნით დაგვბანგა, დაგვამუნჯა და დაგვატყვევა. გულმოდგინედ მოვჩხრიკეთ ნადიდგორალი წინაპრების ნაფეხურ-ნაკვალევი. ბოლოს როგორც ჩვენი პროფესიის ხალხს მსგავს სიტუაციაში ჩვევია, ყველამ წარმოადგინა დიდგორის ომის შესაძლო მიმდინარეობის მისეული „უტყუარი ვარიანტი". შეიქმნა დიდი კამათი და „ფაქტებისა და არგუმენტების ხმლებით" ერთმანეთზე დაუნდობელი მიწევ-მოწევა. აზვიადებს უდავოდ მემატიანე! როგორ შეიძლება კაცო ასეთ მცირე ტერიტორიაზე ნახევარმილიონამდე მეომარი დატეულიყო!? სადაა აქ ამის სივრცე და ადგილი!? - პოზიციას იმაგრებს მცირერიცხოვნებაში მოხვედრილი ოპოზიცია! ბოლოს მაინც ყველა ვთანხმდებით, რომ თუ მარაკანას სტადიონზე მილიონის მეოთხედი მაყურებელი თავსდებაა, მაშინ აქაურობაც თავისუფლად დაიტევდა ჟამთააღმწერელთა მიერ დასახელებულ მებრძოლთა მრავალრიცხოვან რაზმებს. მაშინდელი, ძირითადად ფიზიკურ ძალაზე დაფუძნებული საბრძოლო მანევრი, თავისთავად გულისხმობდა ელვისებური სისწრაფით, სარდლობას ბრძოლის სტრატეგიულ მონაკვეთში მიეღწია ჯარის მნიშვნელოვანი რიცხობრივი უპირატესობისთვის, რომელიც მთიდან დაქანებული თოვლის ზვავივით საბოლოო მიზანს უკვე თოვლის ზვავის კი არა, მწვერვალიდან მოწყვეტილი კლდის ძალით დაარტყამდა... დიდგორიდან უკან დაბრუნებისას, ჩემი ფიქრით, თვითმარქვია მონადირეებს გადავაწყდით, რომლებმაც დაბეჯითებით გვირჩიეს რომ ქუთაისისკენ გამგზავრება ნიჩბისის ხევით ჯობდა. თქვენს „მაშუტკას" არაფერი გაუჭირდებაო, დიდებული გზააო. თუმცა... ისევ მოულოდნელი და შემდეგში სასიამოვნოდ მოსაგონარი შეცდომა. ჩვენი „მერანი" რამდენიმე ადგილას ნაღვარევზე გაიხიდა და უნივერსიტეტელების მიშველება დაჭირდა, მაგრამ ჩვენთვის უდიდესი სიამოვნება იყო არაჩვეულებრივი ბუნების წიაღიდან დავითის გენიალურად არჩეული საბრძოლო მარშუტისთვის მიგვექცია ყურადღება. უდიდესმა ქართულმა გენიამ, დიდგორის შემოქმედმა, დიდმა დავითმა, დასავლეთ საქართველოდან, მოწამეთა-ბაგრატ-გელათში დალოცვილი, მრავალბრძოლაგამოვლილგამარჯვებული მხედრობა სწორედ ამ გზით მიიყვანა დიდგორზე. ადგილმდებარეობის ხილვამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა რაოდენ დიდი სტრატეგი, საბრძოლო ხელოვნების დიდოსტატი იყო საქართველოს გამაბრწყინებელი აღმაშენებელი. ჩემი ფიქრით მთლად პირდაპირ არ უნდა გავიგოთ დიდი მამულიშვილისა და ბრძნადმეტყველი მეისტორიის სიტყვები, როცა ის გვარწმუნებს, რომ დავითმა უკანდასახევი გზა ამოუქოლა ქართველ მებრძოლებსო. სარწმუნოა, რომ დავითმა ბრძოლის წინ მებრძოლები მართლაც გააფრთხილა, რომ უკანდასახევი გზა არ არსებობდა და ღირსების შენარჩუნების და დიდების მოპოვების გზა მხოლოდ მტერზე გამარჯვება იყო. რითაც უშიშარი და ბრძენი მეფე მართლაც მიაღწევდა სასურველ შედეგს. ზოგიერთ დაეჭვებულ-გაორჭოფებულ და მტრის რიცხოვნების გამო შეშინებულ ზოგიერთ მხედარს გააგულად-გაამეომრებდა. მაგრამ დავითი რისი სტრატეგი იქნებოდა თუ საქართველოს ყოფნა-არყოფნის უზენაეს რეალობას სასწორზე დადებდა. აღმაშენებელი უდავოდ იყო მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკის ხიღულ თუ უხილავ ლაბირინთებში რეალურად მჭვრეტი ბრძენი სარდალი, რომლის სიტყვა და საქმე ღვთიმშობლის წილხვედრი ივერიის აღმშენებლობასა და წინსვლას ემსახურებოდა. ამიტომაც მიაღწია მისმა სამეფომ ასეთ სიმაღლეებსა და სივცეებს. ფაქტია რომ ნებისმიერი ორთაბრძოლის წინ, რაც არ უნდა უძლეველი ჯარის სარდალი იყოს მხედართმთავარი, მან შესაძლო მარცხზეც უნდა იფიქროს და, შესაბამისად დამარცხებული ლაშქარი ბრძოლის ველიდან ცოცხალი ძალისა და საბრძოლო საჭურველის მცირე დანაკარგით უნდა გაიყვანოს. ამ საოცარი, ვიტყოდი თვალწარმტაცი გარემოსა და ტყეების ხილვამ ყველა დაგვარწმუნა რომ დიდმა დავითმა, მახვილგონივრულად, შორსმჭვრეტელურად და მიზანმიმართულად დასავლეთ საქართველო იზურგა, სადაც ტრადიციულად ყოველთვის მყარზე მყარი და შეურყვნელი იყო ქართული გენი. ეს რომ ასეა დრომ მალე დაადასტურა: დღეს ყველა ჩვენგანმა კარგად უწყის მოგვიანებით, თუ როგორი სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, ზღვიდან ზღვამდე ტერიტორიების მფლობელ ივერთა მეფეს, საქართველოს მომავალი დედაქალაქის გვარიანად გაურჯულებულმა მცხორებმა ღვთითკურთხეული ერის წინამძღოლს.

...როცა სურამის ქედიდან მართლაც ულამაზესი კოლხეთის დაბლობისკენ ვიწყეთ დაშვება, როგორც გალაკტიონი იტყოდა „მზე დასავლეთით ეღველფება"-ოდა ჩვენი სამშობლოს მთათა უწყვეტ ზოლს. ბატონ გიორგის თავისი ცოლიკაური სურამის ქედზე მიკიდებული, ძირულას ხეობაზე გადამდგარ კოპწია იმერულ სასაუზმეში, თავისი საქმის ხელოვან მასპინძლისთვის ჩაუბარებია.

...დღემ საბოლოოდ დაუთმო ძალაუფლება მთვარე-ვარსკვლავების გამბრწყინებელ ღამეს, როცა მდინარეზე გადაკიდებულ კლდის თავზე, მოხერხებულად წამოსკუპებულ ღია ფანჩატურში, შუასაუკუნეების ქართველი გლეხის მაგიდა-სკამებით გადარბაისლებულ სასაუზმეში მოვთავსდით. უბრალო, მაგრამ პეწიანი ვახშამი. ისევ გალაკტიონი გამახსენდა. თალხ ფერებში ჩაძირული „ტყე ტაძარივით იყო მაღალი." მდინარის ხმაური, გაბუტული ბავშვივით მიყუჩებული, მოულოდნელად აცელქებული მთის ნიავი, ზომიერი, სასიამოვნო დაღლილობა, ჭიქებში აშუშხუნ-აცელქებული „დასვენებული" ცოლიკაური. თამადად მრავალსათამადო ბატალიებ ღირსეულადგამოვლილი, დარბაისლური მანერითა და ზომიერი იუმორით გამორჩეული ბატონი გიორგი. უნივერსიტეტელები მალე შევხალისდით. საგულისხმო, ძარღვიანი სიტყვები, გულიდან წამოსული გონებისდასტურმიცემული ფერადოვანი, ზოგჯერ პირქუში ფრაზები. ცალკეულ საკითხებზე შევკამათდით კიდეც. ბატონი გიორგი ადვილად ახერხებს ღვინისა და ახალგაზრდობის გამო აბორგებული თანამეინახეების დაზავებას. მართლაც, სასიამოვნო, ზომიერად ამაღლებული სადარბაზო სჯა-ბაასი. თანამესუფრეების ერთმანეთისადმი გულწრფელ-გულშემატკივრული მიმართება...

როცა უნივერსიტეტელების გუნდი სატრაპეზოდ ვჯდებოდით უნებლიედ ყურადღება მიიქცია, გვერდით მაგიდასთან მსხდომმა ოთხმა დარბაისელმა მამაკაცმა. ნავაზშმევ-დაპურებულები უკვე წასასვლელად ემზადებოდნენ. მერე ყურადღება ჩვენკენ გადმოიტანეს და მცირე ხნით შეყოვნდნენ. მერე სულაც დასხდნენ, რაღაც შეუკვეთეს და თანაც ჩვენი მაგიდისკენ ინტერესით იხედებოდნენ. სასიამოვნო სანახავი იყო მთის მდინარით ახმაურებული, მთვარისა და ელექტრონის შუქით განათებულ ფანჩატურის ქვეშ მსხდომი, ვაჟკაცური გარეგნობის ჩვენი თანამემამულეების ცქერა. ორ მათგანს ქართველი ოფიცრის სამხედრო ფორმა ამშვენებდა. მათი შეყოვნება კარგა ხანს გაგრძელდა... მერე ჩვენთან მოვიდნენ, ბოდიში მოიხადეს, გაგვეცნენ: გულწრფელი მადლობა გვითხრეს და დასძინეს: როცა თქვენ მოდით, ჩვენ უკვე წასვლას ვაპირებდით, მაგრამ ისე მოგვეწონა თქვენი საუბარი, პაექრობა, ხუმრობა და სადღეგრძელოები ამდენი ხანია სიამოვნებით გისმენთო. მერე უნივერსიტეტისა და ჩვენი სადღეგრძელო დალიეს, ჩვენც ვადღეგრძელეთ, ერთმანეთს გზა დავულოცეთ და ადრესები გაცვლეთ.

... სხვისა სხვამან თქვას, მაგრამ უდავოდ, დიდგორიდან მომავალი უნივერსიტეტელებისთვის იმ ოთხი უცნობი მამაკაცის ქცევა, საუბარი და სურვილი არის უდიდესი სტიმული და რწმენა იმისა, რომ ჩვენს სასწავლებელს ძირითადში ჰყავს ისეთი აკადემიური კადრები, რომლებსაც შემთხვევითი გამვლელებიც კი დიდი სიამოვნებით უსმენდნენ და მოუსმენენ, ხოლო დაინტერესებულები უდავოდ სიამოვნებასთან ერთად შესაბამის ცოდნასაც მიიღებენ.

იმ დღეს 21-ე საუკუნის დიდგორი დიდებულად დაიწყო. ღმერთმა უკეთესობა ქნას!

ლუკა დვალიშვილი

დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია აწსუ-ში

„საუკუნეთა ნატვრა და ოცნება სინამდვილედ იქცა. საქართველო აღსდგა! საქართველო დამოუკიდებლად გამოცხადდა! სიხარულის ცრემლები ჩვენდა უნებურად ჩამოგვდის თვალთაგან... გულისთქმა გვკარნახობს: გავიდეთ ქუჩაში, გადავეხვიოთ გამვლელ-გამომვლელს, გადავკოცნოთ ისინი - თათარი იქნება თუ სომეხი, ლეკი თუ რუსიც კი და შევძახოთ:

აღსდგა ჩვენი ღმერთი; ჩვენი ქრისტე... საქართველო აღსდგა". (გაზ. „ჩვენი ქვეყანა", 1918). ასეთი ამაღელვებელი სიტყვებით შეხვდნენ ეროვნულ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებელობის გამოცხადებას.

2018 წლის 19-20 ივნისს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატის, ისტორია-არქეოლოგიისა და ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტების ორგანიზმებით საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა გიორგი ღავთაძემ. აუდიტორიას მიესალმნენ: პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი.

პროფესორი მერაბ ხალვაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

ვახტანგ გურული, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.

კონფერენციაში მონაწილეობდა ორი სექცია: საქართველოს ისტორიისა და ქართული ენისა და ლიტერატურის.

მომხსენებელთა სამეცნიერო სპექტრი მეტად მრავალფეროვანი გახლდათ. თითოეული მათგანის გამოსვლას თან ახლდა ღრმა ემოციური და ეროვნული სულისკვეთების გამომხატველი მუხტი.

თამარ გუმბერიძე

„რაჭაში რომ მთა-ბარია, ანგელოზებს აბარია"

„რაჭაში რომ მთა-ბარია, ანგელოზებს აბარია"... ყველა სეზონზე განსხვავებული და შთამბეჭდავი, ერთხელ თუ ნახავ, ვერასდროს რომ დაივიწყებ ისეთია. ზამთარში გადათეთრებულ-გადაჭაღარავებული ბებერი მთები, საპატარძლო კაბებით შემოსილი ნაძვები და ალმასებივით ლოლოები დაგხვდებათ, სუსხის მიუხედავად გულს რომ გაგითბობთ, ისეთი. გაზაფხულზე გზებზე ახლად გამოღვიძებულ ღელეებსა და ნაკადულებს წააწყდებით. თქვენ თვალწინ გამოცოცხლდება, გადამწვანდება ბუნება. ხეებს ვანგოგის ნახატებივით ნაირნაირ ფერებად დაუსკდებათ კვირტები. კეკლუცად თავწამოყოფილი ტყის ყაყაჩოები შორიდან გაგეპრანჭებიან და გაზაფხულის სურნელით თავბრუდახვეულნი მიხვდებით, რომ მსგავს სილამაზეს ვერსად იპოვით. ზაფხულში აყავავებული ფრთაჭრელი მდელოებით და ვეება მთებზე მოთამაშე მზის სხვივებით დაიპყრობს თქვენს გულებს. ხილის სურნელით დაგათრობთ და შთაგაგონებთ თქვენი სიბერის ამ დანაჭებულ მთებში წარმოდგენას. შემოდგომაზე რაჭა დაღესტნულ ხალიჩასავით ჭრელ ზღაპარს ჰგავს. თითქოს სამყაროში არსებულ ყველა ფერს თავად ირეკლავს. რაჭაში ყველა სოფელი თავისებურად მშვენიერია, თუმცა განსაკუთრებით მშვიდი და ლამაზია ჩემი გოგოლათი. მის აბრას რომ გაცდებით, მოჩქრიალე შარეულისა და ბზების შეზავებული სუნით ხვდები, რომ უკან მოიტოვე ერთფეროვნება და სულ სხვა სამყაროში მოხვდი. ამ მომენტიდან კარგავ დროის აღქმას. არსად გეჩქარება და არც იმაზე დარდობ, როგორ გამოიყურები. ქაოსისგან შორს, სიმშვიდეში იძირები.

აღმართების შემდეგ დასახლებას მიადგებით, სადაც თქვენს ყურადღებას ხის ძველი სახლები მიიპყრობს, რომლებიც ძველ მგონობებს და ლანდებს ჯერაც ინახავს. ჩვენი ეზოს კარს რომ შეაღებთ, მინდორზე ღილებად დაფენილი ყვითელი ყვავილები და ყველასთვის საყვარელი ვაშლის ხე შემოგეგებებათ (მისი მსგავსი გემოს ნაყოფს სხვაგან ვერ გასინჯავთ). ეზოს სიღრმეში ხის დიდი, ორსართულიანი, მოჩუქურთმებული სახლი დგას. საუკუნისაა, თუმცა ასაკს ჯერ არ უშინდება. იქვე ბედელი და თონეა. ერთხელ მაინც უნდა გასინჯოთ აქ ამოკრული ლიანა და ნელი ბებოს თონის ლობიანები. სოფლის გზას რომ გაუყვებით და გასცდებით დასახლებას, ჯერ „ბრტყელ ქვასთან" აღმოჩნდებით. გვერდით დიდი ნიგვზის ხე უდგას. ნებისმიერ დროს შეგიძლიათ დაჯდეთ, დაისვენოთ და ირგვლივ შემორტყმული მთების ცქერით დატკბეთ. თუმცა, მე ვფიქრობ, ეს ადგილი ღამით ყველაზე სასიამოვნოა, რადგან შენს ზემოთ უკიდეგანო, უძირო ცა იშლება, რომელიც მოციმციმე ვარსკვლავებით არის გადაჭედილი. ყველთვის ვამბობ, რომ ჩემს სოფელში ცაც კი საოცრად ლამაზი და განსხვავებულია. ამ სიტყვებს ადასტურებს სწორედ ეს ადგილი. შემდეგ საცალფეხო ხიდია, სადაც შარეულის ნიავი დაგათრობთ და შეზარხოშებულს ამ ჩქარ მდინარეში კენჭების თვლას დაგაწყებინებთ. აქვე არის „გოგოლათის მღვიმე", სადაც უნიკალურ სტალაქტიდებს ნახავთ. გადმოხურული კლდის ქვეშ, მწვანეში ჩაფლულ ხეივანს, რომ გაუყვებით „გვერეგაულის" ჩანჩქერს მიადგებით. მთელი აზარტი დევს ზემოთ აძრომასა და იქედან თიხის ჩამოტანაში. კიდევ ერთი შთამბეჭდავი ადგილი არის „დოლაბები", რომლის სილამაზეც უბრალოდ უნდა ნახოთ სიტყვებით ვერ აღწერთ. სოფლის ბოლოს „შაშვის წყალია" პატარა კოტეჯით და გვერდით მოჩუხჩუხე შარეულით. განსატვირთად და მეგობრებთან ერთად დროის გასატარებლად იდეალური ადგილია. მოკლედ ახალი ემოციების, გრძნობების და თავგადასავლების მაძიებლებისთვის ან უბრალოდ კარგი დასვენების მოყვარულთათვის იდეალური ადგილია „გოგოლათი". ამ ღვთისგან დალოცვილ ადგილას ყველაზე ლამაზ ადგილებს და ყველაზე თბილ ადამიანებს შეხვდებით.

P.S. ეს სულ მცირედია, რისი გადმოცემაც სიტყვებით უბრალოდ შეიძლება. უფრო მეტია სანახაობაც და უფრო მეტი იქნება განცდებიც, თუ უშუალოდ ესტუმრებით ამ სოფელს.

ქეთი ჯიშკარიანი
ქართული ენისა და ლიტერატურის I კ.

დაჯარგული კლასიკა

(გამოხმაურება მირიან ებანოიძის წიგნის შესახებ - ,,კლასიკის კვლევა არაკლასიკურის ეპოქაში")

დრო-ჟამი - ეგზისტენციალური თავსატეხია. არსებობს ,,დროის" მოცემულობითი პოსტულატი, ასევე, არსებობს ,,ჟამის" ტრანსცენდენტალური სუბსტრატი. კავშირი მათ შორის მეტად ქაოსური და ბუნდოვანია. თუმცა, შესაძლებლობა იმისა, რომ ამ ორ ცნებას შორის გავავლოთ პარალელი, - მაინც არსებობს. დრო - ეს გახლავთ ხილული ჟამი, ხოლო ჟამი - ფარული დროა. ფარული დრო წინ უსწრებს ხილულ დროს, აღემატება მის ენერგიასა და ზოგადობას; ხილული დრო კი, ადამიანისათვის გადაიქცევა სამყოფელად, ენერგიად, ფორმალური წესრიგის გარანტად. ადამიანი განსჯით ეუფლება გარდამავალი დროის მნიშვნელობას, სწვდება მის მიკროელემენტარულ საზრისს; გარდაუვალი დრო კი, ადამიანისათვის მოუხელთებელია, რადგან ნამდვილი განსჯა დაფარულია გამოცდილების გარსით და განსჯის წმინდა, აპრიორი შიგთავსი დაბინდული რჩება. იმისათვის, რომ ნამდვილი განსჯა განხორციელდეს, საჭიროა გათავისუფლება ყოველგვარი გამოცდილებისაგან: გამოცდილებამდელი ენერგიისა და გამოცდილების შემდგომი ენერგიის ანალიზური კავშირით.

მირიან ებანოიძის წიგნში ,,კლასიკის კვლევა არაკლასიკურის ეპოქაში" ვხვდებით ზემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრის მცდელობას. ავტორი შინაგან მზაობას გამოხატავს, უპირისპირდება რა კლასიკის მოდერნულ გაგებას, ის თავად გვევლინება იდეოლოგად და გვთავაზობს კლასიკის ახალ გაგებას, ერთგვარ სიუმოდერნიზმს, სადაც კლასიკა არის აბსოლუტური ჭეშმარიტება, კლასიკა არის აწმყოში ცოცხალი წარსული და დაბადებული მომავალი. ებანოიძე წერს: ,,კლასიკა ის ცოცხალი ტრადიციაა, რომელიც არა მხოლოდ წარსულის ძეგლების სახით გაქვავებული და ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული სახით მოგვეცემა, არამედ მუდმივი გადაწერის, პერმანენტული რევოლუციების და აწმყოში მყოფებთან დიალოგის გზით არსებობს" (გვ 8, პირველი აბზაცი). ამ ფრაზას თუ დავეყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავტორი კლასიკას აღმერთებს, მაგრამ ამავე გვერდზე ვკითხულობთ შემდეგ ფრაზას" ,,ინსტანცია აღარაა, კლასიკა რჩება". ამ ფრაზით, ებანოიძე, მისდაუნებურად (?), უარყოფს კლასიკას და ნამდვილად ბუნდოვანს ხდის მის პერსპექტივას, რამდენადაც ინსტანციის უარყოფა სრული ქაოსის მომასწავებელია. თუ ინსტანცია აღარ არის და კლასიკა რჩება, მაშასადამე კლასიკა უნდა გავიგოდ ინსტანციად და, ამ გაგებით, ინსტანციაც რჩება: კლასიკა გვევლინება ინსტანციად; მაგრამ, როგორც აღნიშნული ფრაზა მეტყველებს, კლასიკა რჩება უინსტანციოდ, უპერსპექტივოდ, უსაზრისოდ.

კრიტიკის დანიშნულება არ გახლავთ ცალსახა, ჩვენ არაფერში გვესაჭიროება ტექსტის ავტონომიური შემოქმედი, ტექსტს ეძლევა დამოუკიდებელი გასაქანი და ჩვენს ცნობიერებაში მისი ეიდოსი აისახება. რასაკვირველია, ტექსტის ეიდოსი არ გახლავთ უნივერსალური: განსჯის მიხედვით სხვადასხვაგვარი ეიდოსი წარმოგვიდგება და ეს სრულებით ბუნებრივია. განსჯა აწარმოებს შემეცნებას.

ჩვენ, აღნიშნული წიგნის მიმართ, ვერ ვიქნებით აბსოლუტურად ობიექტურნი, არც გვაქვს ამის პრეტენზია, მაგრამ გვაქვს მრავალგვარი მსჯელობის წარმართვის შესაძლებლობა და უფლება, რასაც თანმიმდევრულად გამოვიყენებთ.

მ. ებანოიძის აღნიშნული წიგნის საზრისად მივიჩნევთ ,,კლასიკის" განსხვავებულ გაგებას, ტრადიციული, კლასიკური გაგებისაგან განსხვავებულს, განსხვავებულს მოდერნიზმისაგან, სტრუქტურალიზმისაგან, პოსტსტრუქტურალიზმისაგან, პოსტმოდერნიზმისაგან. ეს გაგება შედარებით ახლოს არის მოდერნიზმთან და პოსტმოდერნიზმთან. რამეთუ, დასრულებული წარსული და მომავალი პოსტმოდერნიზმის საზრისია, მარადიული აწმყო კი - მოდერნიზმის.

ებანოიძის მთავარი სათქმელი სამი უკიდურესობის შერწყმის შედეგად ვლინდება (:კლასიკა, მოდერნი, პოსტმოდერნი) და ქმნის უჩვეულო - ,,გასამებულ" სიუჟეტს, სადაც მკაფიო სახე კონკრეტულ სამთაგანს არ გააჩნია, მხოლოდ მთლიანობა ჩანს - მათი შერწყმის შედეგად.

მრავალგვარ ვარიაციას მიმართავს ავტორი. წიგნის პათოსი ავტორიტეტული მოაზროვნეების დამაჯერებელ რეცეფციას წარმოადგეს (ჰაიდეგერი, ელიოტი, რილკე, ბარტი, ფუკო, დერიდა, ვიტგენშტაინი, დელიოზი, სტროსი, გიდენსი) და საკუთარი თავის გამორკვევის მცდელობაა. ცდა დასაფასებელია, თუმცა მიღებული შედეგით თუ ვიმსჯელებთ - ფუჭი გარჯა აღმოჩნდა.

წიგნის პასაჟები და ტექსტუალური დინამიურობა ობსკურანტიზმის პრინციპზეა აგებული. ბენედიქტ ანდერსონის ტერმინს თუ მოვიშველიებთ, ,,წარმოსახვითი საზოგადოება" უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ზოგადმსოფლმხედველობრივ ასპარეზზე, მაგრამ ამ ,,საზოგადოებას" არანაირი საერთო არ გააჩნია რეალურ საზოგადოებასთან, რამდენადაც მისი მთლიანობა და ესთეტიური მომხიბვლელობა ვირგილიუსის მიერ დანახული ტამპესავით მოჩვენებითია. ებანოიძე წიგნში ქმნის ერთგვარ პანდუსს, რომელზეც თავადვე გადაადგილდება კომფორტულად. მისი მეთოდი ზიკრულლახის შინაარსით გამოიხატება, სადაც ტრადიცია, უმოძრაო დოგმატიკა სრულ ჰარმონიაში მოდის მედიტაციურ, რიტუალურ გამოვლინებებთან, რისი საფუძვლებიც აღმოსავლურ მისტიციზმში მოიძებნება.

მ. ებანოიძე მტკიცედ დგას სტრუქტურალისტირ პარადიგმაზე, მიანიშნებს რა ენის თვითმპყრობელური ბუნების შესახებ, იმთავითვე სისტემატიზირდება მისი განსჯის აპრიორი ენერგია, გარდასახვათა შესაძლებლობა იკარგება და ავტორიტარული მონსტრი იქმნება.

ებანოიძე წერს: ,,ტექსტის მასალა ენაა - ცოცხალი, რთული, საკუთარი ენერგიისა და კანონზომიერებების მქონე. ადამიანს შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ მაშინ, როცა მისით და მასში ლაპარაკობს მიწა, ცა, მოკვდავი და ღვთაებრივი. მისი გამოჩენით რიტუალიზირდება მარადიული დავა მიწისა და სამყაროსი, განხეთქილების იდეა და საწინააღმდეგო ძალთა ერთობა. ჩვენ კი არ ვლაპარაკობთ, ენა გვლაპარაკობს" (გვ.10, მეორე აბზაცი). ამ ფრაზებში ჩანს ავტორის გულუბრყვილო დამოკიდებულება ენის მიმართ, ერთობ ხატოვანი და ესთეტიური, მეტაფორული და აფორიზმული. მას მიაჩნია, რომ სუბსტანციაცა და შედეგიც ენის საკუთრებაა, რომ არაფერი არსებობს ენამდე და რომ ენა არის აუცილებელი პირობა აზროვნებისათვის. ამ გამოვლინებით, ავტორი უპირისპირდება რაციონალიზმსა და მეტაფიზიკურ დისკურსს, მას გააჩნია იდეალიზირებული წარმოდგენები, ეგზისტენციალური სივიწროვე და განსაზღვრულობა. გამოვლენილი შინაარსი გვახსენებს სტრუქტურალისტებს, კლოდ ლევი სტროსს (მის ნაშრომს ,,სტრუქტურული ანთროპოლოგია"), ჟაკ ლაკანსა და სტრუქტურაციის თეორიის შემქმნელს - ენტონი გიდენსს, რომელთა პირდაპირ გავლენას განიცდის მირიან ებანოიძე.

,,კლასიკის კვლევა არაკლასიკურის ეპოქაში", როგორც წიგნის შინაარსი, ისე მისი სათაური იწვევს ბუნდოვანებას. ერთი შეხედვით, ამაში არაფერია საკვირველი, ჩვენ ხომ ყველაფრის კვლევა-ძიება გვეხერხება, ადამიანებს... მაგრამ მეორე მხარე დამაფიქრებელია: რამდენად ჭეშმარიტად განხორციელდება ჩანაფიქრი კლასიკის კვლევისა არაკლასიკურის ეპოქაში?! რამდენად სრულყოფილად აისახება ჩვენი დაბრუნების მცდელობა აწმყოს კულტურულ თავისებურებაში?! ჩვენის აზრით, სათაურშივე აქვს განსაზღვრული ებანოიძეს ამ წიგნის საზრისი. კლასიკის კვლევა არ განხორციელდება მისი უარყოფის, მისი გარდასახვის, ინტერპრეტაციის გარეშე. კლასიკა პირვანდელი ფორმით განუმეორებელია. ავტორი ეძიებს გზებს, აბსოლუტის წარმოდგენას ციტატებითა და მეტაფორებით ცდილობს. ებანოიძე განიცდის ნიცშეანურ სასოწარკვეთილებას, მას რეალურად სურს, რომ მკითხველის ცნობიერებაში წარუშლელი კვალი დატოვოს, იშველიებს ნიცშესეულ სენტენციებს, მაგრამ იმდენად ოსტატურად აჩვენებს თავს, რომ რთული შესამჩნევია მისი შეფარული ირონია. კლასიკასაც ირონიით უყურებს. მეტიც: ცალსახად რომელიმე მიმდინარეობის მეხოტბედ არ გვევლინება, ლავირებს, თამაშობს, ფორმალურ ჭეშმარიტებებს ებღაუჭება. ტექსტის რიგ პასაჟებში, პირდაპირი რეცეფცია ჩანს პოსტმოდერნისტი, სტრუქტურალისტი და პოსტსტრუქტურალისტი მოაზროვნეებისა. ებანოიძე წერს: ,,ინტერტექსტუალობა, რომელიც ბახტინისეული დიალოგის კონცეფციას ეფუძნება, ციტირებისა და ალუზიების კვლევის თეორიულ საფუძვლებს ახალი თვალსაზრისით წარმოაჩენს, რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ წარსული ახდენს ზეგავლენას აწმყოზე, არამედ აწმყოსაც ცვლილებები შეაქვს წარსულში. აწმყო დიალოგშია არა მარტო წარსულთან, არამედ მომავალთანაც" (გვ. 7, მეორე აბზაცი). აღნიშნული ფრაზა შეგვიძლია მივიჩნიოთ მ. ბახტინისა და შემდეგში უკვე მისით მოტივირებული ი. კრისტევას დებულებების ,,გადმომღერებად". ბახტინის მიერ დამკვიდრებული ტერმინი ,,ინტერტექსტუალობა", კრისტევას მიერ გადატანილი ,,დიალოგურობაა", ხოლო ებანოიძის მიერ ,,გადათარგმნილი" ტექსტური ექსპანსიურობაა, რომელიც თავისი შინაარსით მდგრადია. ზემოთ ციტირებული ფრაზით ვხედავთ, რომ ავტორი გაურბის პასუხისმგებლობას, შემფასებლის როლში გამოდის, რომლისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს ციტატათა ავტონომიურობას, გამარტლებას ტექსტური მდგრადობით უძებნის, ანუ ინტერტექსტუალობით, რის მიხედვითაც, თითქოსდა, ერთმანეთის ექო ესმით გამონათქვამებს.

წიგნის სათაურით ავტორი გვამზადებს კვლევა-ძიების ქარტეხილებისათვის, სინამდვილეში კი, განვლილ ეპოქათა ვიბრაციულ ვაკუუმში იმყოფება და გვამყოფებს. თავის დახსნას არ ცდილობს, რამეთუ ერთ მთლიანობად გვიხატავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ეს არის ტრიალიზმის იდეა, რაც ადვილი შესამჩნევი არ არის ებანოიძის ტექსტებში, თუმცა საზრისული ძიებით ამ დასვნამდე მისვლა უსათუოა.

აღნიშნული წიგნი შედგება 18 თავისაგან. გარეკანის პირველი გვერდი ორიგინალური წარწერით არის შესრულებული, მუქი წითელი, საშუალო ზომის არასტანდარტული შრიფტით. როგორც წესი, წიგნის ზემოთ ნაწილში იწერება ავტორის სახელი, შუა ან შუას ქვემო ნაწილში კი - წიგნის სათაური. ამ წიგნზე პირიქით არის გადაწყვეტილი. ერთი შეხედვით, ეს გარემოება არ იმსახურებს ყურადღების გამახვილებას, მაგრამ თუ კარგად დავფიქრდებით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ავტორმა მიზანმიმართულად გათვალა გარეკანზე წარწერათა კონფიგურაცია: მირიან ებანოიძე გამოხატავს ეპოქათა მიმართ პატივისცემას და საკუთარი თავი საუკუნეთა მიმართებაში ესახება, ის კომენტატორის როლს ირგებს, თუმცა რთული გასარკვევია, სად გადის ზღვარი მის გულწრფელობასა და ცინიზმს შორის, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სათაური ორაზროვანია. ჩვენ დანამდვილებით ვერ ვიტყვით: კლასიკის მხარეს არის ავტორი თუ პოსტმოდერნიზმის იდეალიზაციისათვის ესაჭიროება კლასიკის ცნების ელემენტები.

პირველი თავის დასათაურება ტომას სტენრზ ელიოტის გამორჩეულ თხზულებას გაგვახსენებს: - ,,რა არის კლასიკა", სწორედ ასე ჰქვია ებანოიძის წიგნის პირველ თავს, რომელშიც ადამიანის არასრულყოფილებასთან ერთად სამყაროს არასრულყოფილებაში გვარწმუნებს. მას მიაჩნია, რომ არაკლასიკურ ეპოქაში კლასიკურობისადმი სწრაფვა კანონზომიერი პროცესია, რომ ეს გამოწვეულია სამყაროსა და ადამიანის შეჯახების შედეგად გამოწვეული ტკივილისაგან. ავტორი იმოწმებს ნიცშეს, ელიოტს და კლასიკის შესაძლო ბედზე მსჯელობს. მრავლად აქვს მოყვანილი ციტირება, საუბრობს ელიოტის გაგების შესახებ, ბახტინისეულ ინტერტექსტუალობაზე, კლასიკის რელატიურობასა და რევოლუციურ ბუნებაზე, რომლის შედეგადაც აწმყოსთან დიალოგში უნდა შევიდეს კლასიკა. საბოლოოდ კი, ამ თავის ბოლო ნაწილში, დუალისტურ ქვეტექსტებს ვკითხულობთ, რომელთა თანახმადაც, ერთის მხრივ, კლასიკის გაგება ბუნდოვანდება, მეორეს მხრივ - წინ წამოიწევს კლასიკის ფენომენის მნიშვნელობა.

დავიწყოთ იქედან, რომ მ. ებანოიძე განსხვავებულს არაფერს გვეუბნება, კონკრეტული დასკვნებისაგან თავს იკავებს, ცდილობს ეპოქები ალაპარაკოს ავტორიტეტთა ენით. მისთვის გენეზისის მარქსისტული გაგებაა ზედგამოჭრილი, რის თანახმადაც, არსებულის საფუძველზე ახლის წანამძღვრების წარმოქმნის შედეგად მიიღება გარდასახული მთლიანობა, სტრუქტურა. ნომინალისტური მსოფლმხედველობა გააჩნია ებანოიძეს, ესქატოლოგიური ამაოების განცდა მასთან პერმანენტულ ხასიათს ატარებს, ხოლო ინვარიანტული სიწესრიგე უპირისპირდება ლემატურ მრავალსახოვანებას და ეს, საბოლოო ჯამში, მიდის უსაზრისო პრაგმატიკამდე, რასაც არ გააჩნია გონითი სუბლიმაციური მეტამორფოზა და ეზოთერული ფაშიზმით იტანჯება.

წიგნის მომდევნო თავები განსხვავებული ენთუზიაზმით გამსჭვალავს მკითხველს ავტორის მიმართ, რამეთუ მისი თხრობის სტილი დიდაქტიკური, წარსულის გამოცდილების გაზიარების შედეგად გადმოცემული და, ერთი შეხედვით, პრიმიტიულია. თუმცა, ქვეტექსტებში მრავალნაირი ვარიაციები გვესახება: ირონიული ტონი, რომელსაც მკითხველის მოსანუსხად იყენებს; მეტაფორული ქარაგმები, ალუზიათა მთელი რიგი წყობა. ციტატათა პათოსი ჰარმონიულად ერგება ავტორის სათქმელს, რადგან ავტორი კომფორტულად გრძნობს თავს წინამორბედთა გარემოცვაში და თავად არც ჭირდება იფიქროს, უკვე ხომ იფიქრეს?!.. საკითხის მიმართ მსგავსი მიდგომა უდიდებულესი ნიჭია...

გამოსარჩევია წიგნის რამდენიმე თავი: ,,შემოქმედების საკითხი ანტიკურობასა და ქრისტიანობაში" (III, გვ.15-19), ,,კლასიკური თუ რომანტიკული. გალაკტიონ ტაბიძე" (V, გვ. 23-27), ,,თანამედროვე" ლიტერატურა" (VI, გვ. 27-32), ,,პოსტმოდერნიზმი" (VII, გვ. 32-37), ,,ტრადიციის გაქრობის ტრადიცია: ნაბოკოვი" (IX, გვ. 47-49), ,,ინტერვიუ გერონტისთან" (XV, გვ. 123-127), ,,ჟილ დელიოზი, ფელიქს გვატარი: ,,რიზომა" (XVII, გვ. 130-164). განსაკუთრებულად გამოვარჩევდი: ,,დისკურსი და ძალაუფლება" (XII, გვ. 61-68), ,,აღორძინების ინიციაცია" (XVI, გვ. 127-130).

მიუხედავად იმისა, რომ მეთორმეტე თავი მხოლოდ ისტორიულ-ინფორმაციული შინაარსით არის აღსავსე (როგორც სხვა თავები, თუ არ ჩავთვლით XV, XVI, XVII, XVIII თავს), ავტორი მაინც საინტერესოდ მიანიშნებს დისკურსის მნიშვნელობაზე, მისი ტერმინოლოგიური დამკვიდრების, განმავითარებლის - მიშელ ფუკოსა და დისკურსის როლზე სტრუქტურალიზმსა და პოსტსტრუქტურალიზმში. განიხი-

დასასრული გვ.11

ქართული კულტურის ცენტრი თურქეთში

ინტერვიუ ავთანდილ ნიკოლეიშვილთან

მოგესალმებით ბატონო ავთანდილ!

თქვენ ღირსეული წარმომადგენელი ბრძანდებით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. როგორც მეცნიერი, მუდმივად სიახლის ძიებაში ხართ და სულ უფრო ფართოვდება თქვენი სამეცნიერო არეალი.

ჩვენი საუბრის თემა საქართველოსა და თურქეთის სამეცნიერო და კულტურულ ურთიერთობებს შეეხება.

ჩვენს უნივერსიტეტში ახლახან გამოვიდა პუბლიცისტური და ისტორიულ-ლიტერატურული ჩანაწერების კრებული, რომლის ავტორები გახლავთ თურქეთის რესპუბლიკის არტაანისა და ყარსის უნივერსიტეტებში მოვლინებული დელეგაციის წევრები; მათ შორის ერთ-ერთი თქვენც ბრძანდებით.

კრებულის გაცნობისას არაერთი საინტერესო საკითხი გახდა ცნობილი მკითხველისათვის, კერძოდ, როგორ მიმდინარეობს თურქეთის უნივერსიტეტებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება, თურქეთის რესპუბლიკის საუნივერსიტეტო პროგრამებზე ინფორმაციის მიწოდება. წიგნის საინტერესო ნაწილია „ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნარატივები", რომლის ავტორი თქვენ ბრძანდებით.

- ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თურქეთში გაიხსნა ქართული კულტურის ცენტრი. რას გვეტყვით ამ მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ?

- 2018 წლის 5 მაისი ისტორიული მნიშვნელობის მქონე დღე იყო სტამბოლში მცხოვრებ ქართველთათვის. მათი აქტიური ძალისხმევის შედეგად, უდიდესი წარსულის მქონე ამ ქალაქში, დაფუძნდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრი. ღონისძიებაზე დასასწრებად ხსენებული საქმის თავკაცებს - სალომე ბარამიძესა და ორჰან ბერიძეს მრავალი სტუმარი ჰყავდათ მიწვეული როგორც თურქეთის სხვადასხვა რეგიონიდან, ისე საქართველოდანაც.

ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მეც ვიყავი მიწვეული ჩვენი უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორთან, თურქოლოგ გიგა ქამუშაძესთან ერთად. ხსენებული ცენტრის დაფუძნებას ასევე ესწრებოდნენ წარმომადგენლები თბილისისა და ბათუმის უნივერსიტეტებდანაც.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის გარემო და პატრიოტული განწყობა, ამ ცენტრის გახსნის დროს რომ სუფევდა. ცერემონიალი ჩატარდა სტამბოლის ერთ-ერთი პრესტიჟული სასტუმროს დიდ საკონფერენციო დარბაზში. იქაური ქართველები ეროვნულ სამოსში იყვნენ გამოწყობილნი.

- თუ შეიძლება, გაგვაცანით ის ქართველი მოღვაწეები, რომელთა ძალისხმევითაც დაფუძნდა ხსენებული ცენტრი.

საზოგადოების დამფუძნებული და ხელმძღვანელი გახლავთ სეზენ გონენჩ ოსქანი (სალომე ბარამიძე), რომელიც ძალიან აქტიური, ქართული სულისკვეთებით განმსჭვალული პიროვნებაა და ბევრ რამეს აკეთებს ამ მიმართულებით. ის ორჰან ბერიძესთან ერთად ხელმძღვანელობს ქართული კულტურის ცენტრს სტამბოლში. ბატონი ორჰანი ძალიან კარგად მეტყველებს ქართულად, არის საოცრად ენერგიული ადამიანი, ზეპირად იცის ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის ბევრი ნიმუში და მკაფიოდ გამოხატული არტისტიზმით კითხულობს ამ ლექსებს ნებისმიერ შეკრებაზე, იქნება ეს თურქეთსა თუ საქართველოში. მან ოფიციალურად დაიბრუნა თავისი გვარი - ბერიძე, რაც ხაზს უსვამს მის ქართულ სულისკვეთებას.

როგორც ითქვა, ცენტრის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად ბევრი ცნობილი პიროვნება გახლდათ ჩამობრძანებული როგორც საქართველოდან, ისე თურქეთის სხვადასხვა რეგიონებიდან. ერთ-ერთი მათგანი იყო ბილალ დინდარი, სამსუნის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი ქართული გვარი მიქელაძეა. მან 1990-იან წლებში თურქულად თარგმნა და წიგნადაც გამოსცა „ვეფხისტყაოსანი". პირველი მცდელობა თურქულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" თარგმნისა ჰქონდა თურქეთში მოღვაწე დიდ ქართველ მამულიშვილს ახმედ ოზგან მელაშვილს. სამწუხაროდ, აქტიური ქართული საქმიანობისათვის იგი 1980 წელს ტერორისტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. მას დაწყებული ჰქონდა "ვეფხისტყაოსნის" თარგმნა, მაგრამ ამ საქმის დასრულება ხსენებული ტრაგიკული მოვლენის გამო არ დასცალდა.

რუსთაველის პოემას დღესდღეობით კიდევ ერთი თურქი პოეტი თარგმნის - ჰასან ჩელიქი და როგორც თურქოლოგები ამბობენ, მხატვრული დონით ეს თარგმანი წინანდელი ორი თარგმანისაგან გამორჩეულია. ვნახოთ, როდის გამოიცემა ეს წიგნი.

- რა სიახლეები იგეგმება ქართულ-თურქული ურთიერთობების თვალსაზრისით?

- როგორც ჩვენ შევიტყვეთ, კულტურის ცენტრს ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება აქვს დაგეგმილი. მათ ორგანიზატორებს სურთ, რომ საქართველოსთან კულტურული ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად გაღრმავდეს და ამ გზით თავიანთი წვლილი შეიტანონ ქართულ-თურქული ურთიერთობების რეალურად განმტკიცებაში. კერძოდ, სურთ, შევქმნათ ერთობლივი პროექტები, რომელთა განხორციელებაშიც აქტიურად ჩაერთვებიან როგორც ორგანიზაციულად, ასევე ფინანსურადაც. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც - ამ საზოგადოების ლოგო არის რუსთაველის პორტრეტი და მათი ინიციატივით გამოცემულ ყველა ნივთს ჩვენი დიდი წინაპრის სურათი ამშვენებს. ამით ისინი რუსთაველის პოპულარიზაციას უწყობენ ხელს. ცენტრში მათ გამოფენაც ჰქონდათ მოწყობილი, სადაც წარმოდგენილი იყო არა მარტო „ვეფხისტყაოსნის" უამრავი გამოცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, არამედ ქართველ მწერალთა სხვა წიგნებიც. ასევე თურქ ავტორთა ის ნაწარმოებები, რომლებიც საქართველოს ეხება. ერთი სიტყვით, რეალური საქმეები აქვთ დასახული და ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია, რომ მხარი დავუჭიროთ და აქტიურად ვიყოთ ჩართული ამ პროცესში.

ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი არის აგრეთვე ნიჭიერი ახალგაზრდა ისტორიკოსი მურად კასაბი, რომელიც მუშაობს საქართველო-თურქეთის მეგობრობის საზოგადოებაში. მას ბევრი რამ აქვს გაკეთებული ქართულ-თურქული ურთიერთობების უცნობი მხარეების შესასწავლად და წარმოსაჩენად. იგი დაუღალავად მუშაობს თურქეთის არქივებში, სტამბოლსა და ანკარაში. გამოცემული აქვს კაპიტალური ნაშრომი „ოსმალეთის ქართველები", რომელიც დაბეჭდილია ქართულ და თურქულ ენებზე. ამ წიგნში შეტანილია იმ 1200 ქართველის ბიოგრაფია, რომლებიც მოღვაწეობდნენ ოსმალეთის იმპერიაში. ისინი შემთხვევითი ქართველები კი არ იყვნენ, არამედ ის ადამიანები, რომლებსაც ოსმალეთის სახელმწიფოში დაკავებული ჰქონდათ უმაღლესი თანამდებობები. კერძოდ, იყვნენ დიდვეზირები, მინისტრები, უმაღლესი სასულიერო პირები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები... წიგნში განხილულია მათი მოღვაწეობა, ნაჩვენებია, რა როლი აქვთ მათ შესრულებული ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში. ნაშრომში ეს ყველაფერი დოკუმენტურად არის წარმოჩენილი.

მურად კასაბი აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით და უკვე დაწერილი აქვს კაპიტალური ნაშრომი ქართველ მუჰაჯირებზე. მუჰაჯირობა, იცით, რომ ძალიან მტკივნეული საკითხი იყო საქართველოს ისტორიაში, XIX საუკუნი-

"ვეფხისტყაოსნის" გამოცემათა გამოფენა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული კულტურის ცენტრში

დასასრული გვ.12

დაჯარგული ჯლასიჯა

(გამოხმაურება მირიან ებანოიძის წიგნის შესახებ - ,,ჯლასიჯის ჯვლევა არაჯლასიჯურის ეპოქაში")

დასაწყისი გვ.10

ლავს იულია კრისტევას სემანალიზს და ციტირებს საინტერესო ფრაზას, რომლითაც კრისტევა ერთმანეთს ადარებს ბერძნულ-იუდეურ-ქრისტიანულ კულტურულ ტრადიციასა და აღმოსავლურ ტრადიციას, სადაც აფიქსირებს აზრს აღმოსავლური ფონოლოგიზმის უპირატესობის შესახებ. ებანოიძის მსოფლმხედველობისა და მისი ტექსტების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის იზიარებს კრისტევას მოსაზრებას ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით. აგრეთვე, მეთორმეტე თავში მ. ებანოიძე საუბრობს როლან ბარტის ლიტერატურათმცოდნეობისა და ჟაკ ლაკანის ფსიქოანალიზის შესახებ, რომელთაც ინფორმაციული მიმოხილვით შეეხება და არა ანალიზური კრიტიკით. ასევე, საუბრობს ჟაკ დერიდას დამკვიდრებულ ,,დეკონსტრუქციაზე" და გარკვეულ ლოგიკურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს დერიდას მსოფლმხედველობის შესახებ.

ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას ,,ინტერვიუ გერონტისთან" (XV), ,,აღორძინების ინიციაცია" (XVI), რომელ ტექსტებშიც მკაფიოდ ჩანს პოსტმოდერნული სულისკვეთება.

და მაინც, სად ვეძებოთ მ. ებანოიძის კლასიკა?! მისი წიგნი კონკრეტულ პასუხებს არ გვცემს ამ კითხვაზე. არჩევანს მკითხველს უტოვებს, საუკუნეთა კულტურულ სამზარეულოში ახედებს საზოგადოებას, თავად გვევლინება შეგირდად, რომელსაც მოსწონს ეს ამპლუა. ვერ დავზრახავთ ავტორს... კონფორმიზმი ზოგჯერ თავის გადარჩენის მცდელობად უნდა დავინახოთ. ჩვენი კრიტიკული დისკურსის საბოლოო მიზანია, რომ მ. ებანოიძის მიერ წარმოდგენილი ტექსტი ,,კლასიკის კვლევა არაკლასიკურის ეპოქაში" გავხადოთ საზოგადოების ფართო მასების ინტერესის ობიექტი. ავტორის მონდომება დავაფასოთ, ნუ წავიკითხავთ ტექსტს ზედაპირულად და მისი ქვეტექსტების წვდომას ვეცადოთ. ინფორმაციულმა და ხატოვანმა ზემოქმედებამ არ უნდა განსაზღვროს ძიების ვექტორი. როგორც არისტოტელე იტყოდა: ,,ყოველმა ადამიანმა ხელი უნდა მოჰკიდოს ისეთ საქმეს, რაც მისთვის შესაძლებელია და რაც მას ეკადრება"... მ. ებანოიძე ასეთ ადამიანთა კატეგორიას მიეკუთვნება. გამოსდის ფილოსოფიურ სამყოფელში წრიული მოძრაობა, რომელიც აუჩქარებლობით ხასიათდება. ის აბსოლუტურად იზიარებს ნიცშეს ფრაზის პათოსს: ,,აფორიზმი და სენტენცია მარადისობის ფორმებია", ცდილობს კულტურათა თავისებურებებს ჩასწვდეს, სურვილი აქვს საუკუნეთა დიალოგში მენტორის როლი მოირგოს, მაგრამ იმ უკიდურესობას ვერ ამჩნევს, რაც წარსულის თვითმპყრობელური ცნობიერების არქეტიპია, რაც ასე განსაზღვრავს შემგუებლურ აწმყოს. ჩვენ გვესაჭიროება წარსულის გათავისება, მაგრამ არა წარსულის მნიშვნელობით, არამედ მას უნდა მოვაშოროთ წარსულის შინაარსი და აწმყოში დავამკვიდროთ გარდაუვალი აუცილებლობის სახით, ეს პათოსი გვესაჭიროება მომავალთან დაკავშირებითაც.

მირიან ებანოიძის ტროპები ჰედონისტურია, მუდმივი მოდელირების პროცესშია, მაგრამ მეტათეორიულობისაგან მისი მსოფლმხედველობა სრულად ჰიპოსტასირებულია, რაც სიღრმეებში წვდომის შესაძლებლობას უკარგავს. ნიჰილისტურია ავტორის დამოკიდებულება კლასიკის მიმართ. ირონიას, რომელსაც ის იყენებს, ფარული სევდა, ამაოების განცდა და პანფსიქიზმის შემაძრწუნებელი შინაარსი გააჩნია, რომელიც პარადოქსულად მეტასტასირდება წარსულსა და მომავალში.

კლასიკა კიდევ უფრო ბუნდოვანდება...

საბოლოოდ, კლასიკა იკარგება.

გორვანელი
(ლევან გოგაბერიშვილი)

ქართული კულტურის ცენტრი თურქეთში

დასაწყისი გვ.11

დან მოყოლებული XX საუკუნის 30-იან წლებამდე გრძელდებოდა. მაშინ ათასობით ქართველმა დატოვა სამშობლო. ისინი სახლდებოდნენ ყოფილი ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონში. მურად კასაბმა მათი თავგადასავალი შეისწავლა დოკუმენტური წყაროების მიხედვით და როგორც კი ფინანსები გამოიძებნება, წიგნი თურქულად დაიბეჭდება (ახლახან შევიტყვე, რომ ხსენებული წიგნი უკვე გამოიცა). მნიშვნელოვანი იქნება, თუ ეს ნაშრომი ითარგმნება ქართულად და მას გამოიყენებენ ქართულ-თურქული ურთიერთობებით დაინტერესებული პირები.

კმაყოფილება მინდა გამოვხატო იმის გამო, რომ თურქეთის ქართველობაში პატრიოტული მუხტი ამ ბოლო დროს საკმაოდ ძლიერდება. ბევრია დაინტერესებული იმით, რომ ქართული ენა შეისწავლოს და ქართულ რეალობასთან მეტი ინტეგრაცია მოახდინოს. ეს ის პროცესია, რომელსაც სჭირდება მეტი მხარდაჭერა და ჩვენ შევეცდებით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ საქმეში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ კუთხით ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მინდა კმაყოფილება გამოვხატო იმის გამო, რომ უნივერსიტეტის რექტორატი, დეკანატი, ჩვენს უნივერსიტეტში ბევრი რამ არის გაკეთებული.

– ჩვენ ვიცით, რომ თურქი ეროვნების სტუდენტები სწავლობდნენ ჩვენს უნივერსიტეტში, რამდენიმე მათგანმა სადოქტორო დისერტაციაც დაიცვა. ერთ-ერთის ხელმძღვანელი თქვენ ბრძანდებოდით. თუ აგრძელებთ მათთან სამეცნიერო თანამშრომლობას?

- რა თქმა უნდა. თქვენ მიერ ნახსენები ჩვენი თურქი კურსდამთავრებული მუზაფერ ქირი იყო. იგი პირველი თურქია, ვინც ქართულ ლიტერატურაში ქართულ ენაზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მე ვიყავი მისი ხელმძღვანელი. მასთან ერთად დავწერე წიგნი „ეტიუდები XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", რომელიც ანკარაში გამოვიდა 2017 წელს.

აქ ასევე უსათუოდ მინდა დავასახელო ჰარუნ ჩიმქე, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელიც პირველი თურქია, რომელმაც ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორის – რუსუდან საღინაძის ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვა დისერტაცია ქართულ ენაში. გარდა

მარცხნიდან მარჯვნივ: ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ორჰან ბერიძე

საერთოდ, ჩვენი პროფესურა, განწყობილია იმისათვის, რომ ამ მიმართულებით კვლევა-ძიება აქტიურად წარიმართოს.

ამის დადასტურებაა ის, რომ ჩვენ ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე რამდენჯერმე დავგეგმეთ სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში.

მიმაჩნია, რომ ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტად უნდა გავააქტიუროთ მუშაობა და ჩვენი უნივერსიტეტის ქართველოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად სწორედ ეს საკითხი უნდა იყოს ქცეული. ამ კუთხით რეალური ნაბიჯები უკვე გადაიდგა, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში უკვე შეიქმნა ქართველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომლის მიზანია აქტიური სამეცნიერო მუშაობის განხორციელება ჩვენი ქვეყნის გარეთ მცხოვრებ ქართველთა და ქართველ ებრაელთა ისტორიული და თანამედროვე ყოფის შესასწავლად. კმაყოფილებით აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ ამ მიმართულებით იმისა, რომ ბატონი ჰარუნი რიზეს უნივერსიტეტში დღესდღეობით წარმატებით აგრძელებს სამეცნიერო საქმიანობას, იგი მეტად აქტიურ მთარგმნელობით მოღვაწეობსაც ეწევა და არაერთი ქართული ნაწარმოები თარგმნა და გამოსცა თურქულად.

აქვე ერთი ინფორმაციაც მინდა მოგაწოდოთ: ქალბატონ რუსუდან საღინაძესთან და ჰარუნ ჩიმქესთან ერთად ვარ ხელმძღვანელი იმ პროექტისა, რომელიც ეხება XVIII-XIX საუკუნეების ქართული მწერლობის იმ ნიმუშების შესწავლას, თარგმნასა და გამოცემას თურქულ ენაზე, რომლებშიც მოცემულია ქართველ მოგზაურ მწერალთა ცნობები თურქეთთან დაკავშირებით. ფონდი, რომელიც ამ პროექტს აფინანსებს, თურქეთის პრემიერ-მინისტრთან არსებობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებრივ დონეზე აქვთ ინტერესი იმისა, რომ ეს საკითხები ფუნდამენტურად იქნას შესწავლილი.

ხსენებული ნაწარმოებები, რომლებიც თურქული ისტორიოგრაფიის უაღრესად მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს, სრულიად უცნობია თურქი სპეციალისტებისათვის. მხედველობაში მაქვს სულხან-საბა ორბელიანის, გიორგი ავალიშვილის, ტიმოთე გაბაშვილისა და სხვა ავტორთა მოგზაურული შთაბეჭდილებები.

მარცხნიდან მარჯვნივ: ორჰან ბერიძე, ბილად დინდარი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, სალომე ბარამიძე

რამდენიმე დღის წინ მე და ქალბატონი რუსუდან საღინაძე აღნიშნულ პროექტზე სამუშაოდ წასული ვიყავით რიზეს უნივერსიტეტში. იქ ყოფნის დროს ბატონმა ჰარუნმა გადმომცა ტრაპიზონში გამოცემული სამეცნიერო ჟურნალი, 2018 წლის 24-ე ნომერი, სადაც დაბეჭდილია ჩემი და ჰარუნის ერთობლივი ნაშრომი — "გიორგი ერისთავის მოგზაურული შთაბეჭდილებები სტამბოლისა და ტრაპიზონის შესახებ". როგორც ცნობილია, გ. ერისთავი 1862 წელს გაემგზავრა ევროპაში სამოგზაუროდ. ამ მოგზაურობის დროს მან საფუძვლიანად დაათვალიერა ტრაპიზონი და სტამბოლი და თავისი მაშინდელი შთაბეჭდილებები საკმაოდ ვრცლად მოგვითხრო ხსენებულ ნაწარმოებში.

დიდ მადლობას გიხდით საინტერესო საუბრისათვის. გისურვებთ წარმატებებს!

ესაუბრა თამარ გუმბერიძე



მთავარი რედაქტორი გია ხოფერია
რედაქტორის მოადგილე ლელა ჩოგოვაძე
კორესპონდენტი თამარ გუმბერიძე
კომპიუტერული უგრუნველყოფა ნინო პატარაია

ჩვენი მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59
ტელ.: 2-59; 593 73 63 59; 593 32 94 88; 551 94 97 94
E-mail: atsugazeti@gmail.com

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში
ტელ.: 24 00 21; E-mail: atsugamomcemloba@gmail.com